ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 20 თებერვალი, 2020 №42 (8306) ფასი: 60 თეთრი

კარლ ჰარცელი: „შოთაძის დანიშვნის გადაწყვეტილება პრობლემურია“

გვ.2

18 თებერვლიდან

მიხეილ კვესელავა

ნიურნბერგის პროცესი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

დღეს ვანო მერაბიშვილი ციხიდან გამოდის

გვ.2

„თავის გეგმებზე ვანო თავად ილაპარაკებს“

შეიძლება თუ არა, რომ ის უკან შეაბრუნონ

იაგო ხვიჩია: „შეხვედრა თალაკვაძემ შემომთავაზა, მათ პოლიტპატიმრების გამოშვება მოვთხოვე“

გვ.3

ოპოზიციურ ფორმატში ვრჩებით... „ოცნება“ სხვებსაც შეხვდა, მაგრამ მე რატომ დავასახელო?! ვიჭორაო?!

გურამ ჩალაგაშვილი: „როგორც მკვდარს ბალზამი ვერ უშველის, ისე „ოცნებას“ — ლობისტური კომპანიები“

„135/15-ზე ოპოზიციისთვის მისაღები იქნება“

იჭერენ პოლიტიკურ ოპონენტებს გამოგონილი ბრალდებებით, არბევენ მშვიდობიან მომიტინგეებს, იჭერენ ასობით ადამიანს. ხელისუფლების მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ცხადყოფს იმას, რომ საქართველო მიემართება რუსეთისაკენ.

გვ.2

გვ.3

მურმან დუმბაძე: „ვანო მერაბიშვილისთვის არ მიპატიებია“

„ქართული ოცნება“ მაჩანჩალაა, არჩევნებამდე შეიძლება ბორბალიც კი მოძვრეს და ვინ ისურვებს იქ ასვლას?!“

უსაფრთხოების საბჭოს მდივნის პოსტზე ვახტანგ გომელაური დაინიშნა

გვ.4

ცხინვალის რეჟიმი „არამოქალაქეების“ რეგიონიდან გამოდევნის პროცედურას ხვეწს

რატომ შეიქმნა სურსათის დეფიციტი ოკუპირებულ რეგიონში?

გვ.4

ISSN 1987-9385

4 საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზეა დამოკიდებული

5 „გიგა აბრალავა უმძიმეს მდგომარეობაშია, ის სალომე ბოხუას მკვლელობას აღიარებს“

5 „პროკურატურის მოწმეს მელიასთან პრეტენზია არ აქვს და დაზიანებებს ხელისუფლებას აბრალებს“

6 ირანში კორონავირუსის შემთხვევები ოფიციალურად დადასტურდა

გურამ ჩალაგაშვილი: „როგორც მკვდარს ბალზამი ვერ უშველის, ისე „ოცნებას“ — ლობისტური კომპანიები“

„135/15-ზე ოპოზიციისთვის მისაღები იქნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, ხელისუფლება ინდივიდუალურად იწყებს გასაუბრებას ოპოზიციურ პარტიებთან. რა ჩაიფიქრეს, რა უნდათ?

– ეს განცხადება გააკეთა თბილისის მერმა, კახი კალაძემ, რომელიც არის „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი. ქალაქის მერთან რაზე უნდა ისაუბროს ოპოზიციამ, დიდად ვერ ვხვდები. ეს ერთი. მეორეც, ის პარტიები, ვინც გამოთქვეს შეხვედრის სურვილი, ძალიან კარგად ვიცით, ვინ არიან. ერთია პატრიოტთა ალიანსი და მეორე – გია ჟორჟოლიანის პარტია.

ჩვენ ცალკე სალაპარაკო არავისთან არაფერი გვაქვს. ჩვენ მათ გარკვევით ვუთხარით, მთელმა ოპოზიციამ, რომ ხალხის მოთხოვნა არის პროპორციული არჩევნები! საქართველოში არჩევნები უნდა ჩატარდეს პროპორციული წესით.

იგივე განცხადება გააკეთა გირჩმაც, ზურაბ ჯაფარიძემ: სულ მინიმუმ, უნდა განთავისუფლდნენ პოლიტპატიმრები: ირაკლი ოქრუაშვილი, გიორგი რურუა, გიგი უგულავა, კობა კოშაძე და ყველა, ვინც არის 20 ივნისის საქმეზე დაკავებული. თუ ესენი იქნებიან უპირობოდ განთავისუფლებულები ციხეებიდან, ოპოზიცია მზად არის, დაუბრუნდეს მოლაპარაკების მაგიდას.

ამ პირობის შეუსრულებლად ცალკე ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა ნიშნავს „ოცნების“ წისქვილზე წყლის დასხმას.

– ანუ ხელისუფლება ცდილობს, ფონი შეიქმნას, რომ ოპოზიციასთან ლაპარაკი დაიწყო და საამისოდ ეს პარტიები გამოიყენოს?

– კი ბატონო. ხელისუფლებას ჰყავს სატელიტი პარტიები, მათი დახმარებით ხალხს აჩვენებენ, რომ ოპოზიციას შესთავაზეს მოლაპარაკება და აი, წამოვიდა მხოლოდ 2 პარტია, გია ჟორჟოლიანი და ირმა ინაშვილი. ისინი შეეცდებიან, ეს ყველაფერი სათავისოდ შეფუთონ და დიპლომატიურ კორპუსს დაანახონ, რომ ნახეთ, ოპოზიციიდან მხოლოდ 2 პარტია მოვიდა ჩვენთან, ხოლო დანარჩენები არიან დესტრუქციულები და მათ მხოლოდ არეულობა უნდათ.

ხელისუფლება ამას ვერ დააჯერებს დიპკორპუსის ვერც ერთ წარმომადგენელს. ამიტომ ფუჭია და ტყუილია ის მცდელობა, რაც მას აქვს, რომ დაშალოს ის ერთობა, რომელიც რამდენიმე თვეა არსებობს.

– 115/35-ზეო, ასევე ითქვა 135/15-ზეო, რამდენად თანახმა იქნებით მსგავს შეთავაზებებზე?

– თუ იქნება 135/15-ზე, პრაქტიკულად ეს არის პროპორციული საარჩევნო სისტემა. ეს არ იქნება მიუღებელი პირადად ჩემთვის, არც ჩემი პარტიისთვის და არც იმ დიდი მაგიდისთვის, რასაც ჰქვია ოპოზიციის მაგიდა.

– სხვა გზა არ დარჩა ხელისუფლებას და ეძებს გზებს, რომ წავიდეს დათმობებზე?

– ხელისუფლება საკმაოდ დიდი ხანია ჩიხშია. მთელი 8 წელია, შეცდომებით მოდიან ისინი, მაგრამ ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვეს 20 ივნისს, როდესაც გავრილოვი ჩამოიყვანეს და შემდეგ სისხლიანი რეჟიმის სახელიც მიიწერეს, როდესაც დაგვარბიეს.

ამას მოჰყვა ისიც, რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანები დაიჭირეს და გაუშვეს პატიმრობაში. გუშინაც სასამართლოში ვიყავით, ნიკა მელიას და ირაკლი ოქრუაშვილის პროცესები მიმდინარეობდა. ერთი 20 ივნისის საქმეზე, მეორე – რობაქიძის საქმეზე. ეს ხომ ყველაზე დიდი შეცდომაა?!

იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებას უკან დაეხია, გიორგი რურუას ჩაუდეს იარაღი, ტვ პირველის დამფუძნებელს აღუძრეს საქმე, ხაზარაძეჯაფარიძეს ვხედავთ, რასაც უკეთებენ.

წლების წინ, ორი ინსტანციის მიერ დასრულებული საქმე, უკვე მოხდილი სასჯელი და პროკურორ თადუმაძის მიერ გაგზავნილი ბრალი განიხილა აწ უკვე მოსამართლე თადუმაძემ და უგულავას მიუსაჯა 3 წლით და 4 თვით პატიმრობა. ეს იყო ბოლო წერტილი იმისა, თუ რა სისულელე შეიძლება

გაგრძელება მე-3 გვერდზე

დღეს ვანო მერაბიშვილი ციხიდან გამოდის

შეიძლება თუ არა, რომ ის უკან შეაბრუნონ

დღეს, 20 თებერვალს, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, მსჯავრდებული ვანო მერაბიშვილი, თითქმის 7 წლიანი პატიმრობის შემდეგ, მატროსოვის ციხეს დატოვებს.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი 2013 წლის მაისში დააკავეს.

ის სასჯელს რამდენიმე საქმეზე იხდიდა, მათ შორის, 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის, სანდრო გირგვლიანის საქმეზე მტკიცებულებების დამალვის, ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების, კვარიათის აგარაკისა და ამომრჩევლის მოსყიდვის საქმეებზე.

სასჯელის შთანთქმის პრინციპით, მერაბიშვილს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

ამჟამად სასამართლოში მერაბიშვილის წინააღმდეგ 7 ნოემბრის აქციის დარბევისა და „ტელეიმედში“ შეჭრის საქმის განხილვა მიმდინარეობს. აღნიშნულ საქმეზე მერაბიშვილს უფლებამოსილების გადამეტებას ედავებიან.

❖ ❖ ❖

– ვფიქრობ, რომ ვანო მერაბიშვილი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას შეუდგება. მერაბიშვილის პოლიტიკაში ჩართვა არის მხოლოდ მისი და იმ მხარდამჭერების გადასაწყვეტი, რომლებიც, სავარაუდოდ, ბატონ ვანოს მრავლად ჰყავს საქართველოში.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა აკაკი ბობოხიძემ განაცხადა.

– ხომ არაა მოსალოდნელი, რომ მერაბიშვილი საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ კიდევ დააკავონ?

ამ კითხვას ბობოხიძემ ასე უპასუხა:

– ბიძინა ივანიშვილისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ის ცივილური მეთოდებით არჩევნებს ვერ იგებს, ამიტომ დარჩა ერთადერთი შანსი, ყველაფერი გააკეთოს, მათ შორის, სრულიად არაბუნებრივი გადაწყვეტილებები მიიღოს.

ამიტომ, ყველა პროცესი – კარგი თუ ცუდი, „ქართული ოცნების“ მხრიდან დაწყებული, დასრულდება უახლოეს საპარლამენტო არჩევნებზე.

ანრი ოხანაშვილი ფიქრობს, რომ ვანო მერაბიშვილს პოლიტიკური მომავალი არ გააჩნია.

– ვფიქრობ, სრულიად ზედმეტია რაიმე ტიპის პოლიტიკურ შანსებზე საუბარი იმ ყოფილ მინისტრზე, რომელიც არაერთი დანაშაულის ჩადენაშია მხილებული, – განაცხადა მან.

ანრი ოხანაშვილი გამოეხმაურა ოპოზიციის წევრების განცხადებებს, რომ შესაძლებელია მერაბიშვილის შემთხვევაშიც იგივე სცენარი განმეორდეს, რაც გიგი უგულავას შემთხვევაში მოხდა და ისიც ციხეში დააბრუნონ.

– ჩემი შესაფასებელი არ არის კონკრეტული პირის პასუხისგებაში ყოფნა/არყოფნის საკითხი. თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, ეს სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციაა, იმოქმედონ კანონის შესაბამისად. თუ ვინმემ მოიხადა სასჯელი და აღსრულდა სამართლიანობა, ითვლება, რომ დასრულდა ეს პროცესი, – განაცხადა ოხანაშვილმა.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ოთარ კახიძე მიიჩნევს, რომ ვანო მერაბიშვილის საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია.

– პოლიტიკურად მოტივირებული საქმე პირველ რიგში ნიშნავს იმას, რომ როდესაც ივანიშვილმა ციხეში არწასვლის პირობად რიტორიკის შეცვლა გამოაცხადა, თუ რიტორიკას შეცვლიდი და ივანიშვილის ბანაკში გადაბარგდებოდი, მაშინ არ შეგეხებოდა პროკურატურა. ეს არის პოლიტიკური მოტივაციით დევნა.

„თავის გეგმებზე ვანო თავად ილაპარაკებს“

მეორე, ვანო მერაბიშვილის განაჩენი შესწავლილი და შეფასებული აქვთ ხელისუფლების მიერ მოწვეულ ეუთო/ოდირის სასამართლო მონიტორებს, რომლებიც პროცესებს ესწრებოდნენ. მათი დასკვნის მიხედვით, მერაბიშვილის განაჩენი, რომელიც მათ შეისწავლეს, 2013 წლის ე.წ. „სოცაგენტების საქმე“ დაუსაბუთებელი იყო. ესეც მიანიშნებს, რომ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით დევნას.

ფარცხალაძის მხრიდან მერაბიშვილის ციხიდან გაყვანა, მასზე ზეწოლა, რომ პარტიის თავმჯდომარისთვის მიეცა ინფორმაცია და ამ შემთხვევაში მას ყველა ბრალს მოუხსნიდნენ, ესეც მიუთითებს, რომ ოპოზიცია პოლიტიკური სამიზნე იყო და ხელისუფლებას რეალურად რომელიმე საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულება არ აინტერესებდა.

ბრალდებები, რომლებიც მას აქვს წაყენებული, სასჯელები და განაჩენები შეფასებული აქვთ სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტებს თანაბრალდებულების საქმეებზე.

მაგალითად, მიხეილ სააკაშვილს აქვს წაყენებული იგივე ბრალდება, რაზეც 7 წლიანი სასჯელი მოახდევინეს ვანო მერაბიშვილს, თუმცა ინტერპოლმა მტკიცებულებების შეფასების დროს თქვა, რომ წითელ ცირკულარზე ძებნის გამოცხადებისთვისაც კი, ეს მასალები საკმარისი არ იყო. მაგრამ ქართული სასამართლოსთვის საკმარისი აღმოჩნდა, რომ 7 წლიანი პატიმრობა გამოეყენებინათ.

ეს არის არგუმენტები, რომლებიც მერაბიშვილის პატიმრობის მოტივაციაზე, შერჩევით მიდგომასა და იმაზე მიუთითებს, რომ საქმეები მტკიცებულებებით გამყარებული არ არის, – განაცხადა კახიძემ.

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძე არ აკონკრეტებს, დაუბრუნდება თუ არა ვანო მერაბიშვილი პოლიტიკას და, ასევე, რომელი პოლიტიკური პარტიის რიგებში შეიძლება ის ვიხილოთ.

– ვანო მერაბიშვილი იყო პოლიტიკური პატიმარი, რაც დაამტკიცა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ. ის, შეიძლება ითქვას, იყო ივანიშვილის პირადი პატიმარი. მერაბიშვილი 7 წლის განმავლობაში უსამართლოდ იჯდა ციხეში. სასიხარულოა, რომ დააღწევს თავს ამ რეპრესიულ, უსამართლო სასჯელს. რაც შეეხება მის პოლიტიკურ გეგმებს, ის თავად იტყვის მათზე, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

კარლ ჰარცელი: „შოთაძის დანიშვნის გადაწყვეტილება პრობლემურია“

– ირაკლი შოთაძის დანიშვნის გადაწყვეტილება ხელს არ შეუწყობს ნდობას სასამართლო სისტემისადმი.

ამის შესახებ ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, კარლ ჰარცელმა განაცხადა.

– ჩვენ მივიღეთ შეტყობინება ირაკლი შოთაძის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ გუშინ. ეს იყო პროცედურების გაგრძელება და მოსალოდნელი ფაქტიც. ერთი მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ ბატონ შოთაძეს ხანგრძლივი კარიერა აქვს და ის პროფესიონალია, თუმცა, მეორეს მხრივ, ეჭვგარეშეა, რომ ეს გადაწყვეტილება პრობლემურია. მიმაჩნია, რომ ეს ხელს არ შეუწყობს ნდობას ზოგადად სასამართლო სისტემისადმი, რაც განსაკუთრებით ამ დღეებში, ზოგადი პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს გამოწვევაა. მომავალში ამას სჭირდება ფიქრი და გათვალისწინება, – განაცხადა კარლ ჰარცელმა.

პოლიციამ სარფში აზერბაიჯანის მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1995 წელს დაბადებული ი.ჯ. სასაზღვრო გამშვებ პუნქტ „სარფში“ დააკავეს. მას ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვასა და საქართველოში უკანონოდ შემოტანაში ედება.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, 1702 აბი და 2 ნატეხი ნარკოტიკული საშუალება „მდმა“ „პრეგაბალინის“ შემცველი ფსიქოტროპული საშუალება „ლირიკის“ 490 კაფსულა, 72 გრამი „ამფეტამინი“ და 237 გრამი გამომშრალი მარიხუანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მურმან დუმბაძე: „ვანო მერაბიშვილისთვის არ მიპატიებია“

„ქართული ოცნება“ მაჩანჩალაა, არჩევნებამდე შეიძლება ბორბალიც კი მოძვრეს და ვინ ისურვებს იქ ასვლას?!“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ხელისუფლება მზად არის, ოპოზიციასთან შეხვედრები ინდივიდუალურ ფორმატში გამართოს. არჩილ თალაკვაძე „გირჩის“ წევრ იაგო ხვიჩიას შეხვდა. შეიძლება ოპოზიციური ერთობა საფრთხის ქვეშ დადგეს?

– გაერთიანებულ ოპოზიციაში გადაწყვეტილება მიღებულია – ჩვენ გაერთიანებული წესით ვმოქმედებთ! ცხადია, ხელისუფლების მიზანი ამ ოპოზიციის დაშლაა, რომ ცალ-ცალკე უფრო მარტივად „იმუშაოს“, მაგრამ ეს არ გამოუვა. „გირჩი“ თავის არჩევანში თავისუფალია. ნებისმიერს აქვს უფლება, მივიდეს ხელისუფლებასთან და დაელაპარაკოს ღიად, საჯაროდ, ეს არ არის პრობლემა. თუ უფრო მეტი მოხდება, მაშინ თავს დაიზიანებენ, რადგან მანქანა, რომელზეც „ოცნება“ ზის, მორყეულია და სხვებსაც ჩაიყოლებს.

„გირჩი“ დაელაპარაკა, მაგრამ პირობები წაუყენა, რომ პოლიტპატიმრები უნდა განთავისუფლდნენ. ეს არ არის ცუდი ვარიანტი. მე არ მგონია, რომ „გირჩი“ რაიმე დათმობაზე წავიდეს. რამდენიმეთვიანი შეხვედრები გვაქვს ერთმანეთთან და მე ვიცი ეს ხალხი, ისინი დამთმობები არ არიან. მე არ ვფიქრობ, რომ ისინი მოურიგდნენ ივანიშვილს.

– ზურა ჯაფარიძემ დაწერა, ჩვენ ღიად შევხვდით და ეს არ არის პრობლემა, პრობლემაა, ვინც ჩუმად ხვდებაო. ხომ არ იცით, კიდევ ვინ შეხვდა „ოცნებას“?

– მეც ვფიქრობ, რომ აქ პრობლემა არ არის, პრობლემა მალულად გამართულ შეხვედრაშია. ვინ შეხვდა, არ ვიცი, თუმცა არ გამოვრიცხავ, იმიტაციური პარტიების წარმომადგენლები შეხვდნენ.

შეიძლება, მეც შემომთავაზოს ბიძინა ივანიშვილმა, შენ იქნები პარლამენტის წევრი და გამოდი მათი რიგებიდანო. ეს იქნება ამ ერთობის ნგრევა, მაგრამ ეს გამორიცხულია, ისეთი მყარი ერთობაა ჩამოყალიბებული. პოლიტიკური კულტურა იზრდება, წინააღმდეგობა ზრდის ადამიანებს. ამიტომ, ძნელი სავარაუდოა, რომ რომელიმე პარტია ამაზე წავიდეს.

თუ ხელისუფლებას მართლაც სურს საარჩევნო კანონის ცვლილება, მაშინ დაიწყოს ცვლილება. მას აქვს ამისთვის ყველა შესაძლებლობა. პროპორციულ არჩევნებზე გადასვლის გადაწყვეტილება მათ ჩვენგან დამოუკიდებლად შეუძლიათ მიიღონ, ხმები თუ დასჭირდებათ პარლამენტში, მივეხმარებით. დაუბრუნდეს თავის დანაპირების შესრულებას ივანიშვილი და არავითარი პრობლემა არ იქნება, ყველაფერი თავისით დალაგდება.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ინდივიდუალური შეხვედრები სწორედ იმიტომ სჭირდება გარკვეულ პირებთან „ქართულ ოცნებას“, რომ მათთან მოახდინოს გარიგება მაჟორიტარულ ოლქებში – დააყენებთ თქვენს კანდიდატურას, ჩვენ არ დაგიყენებთ კონკურენტს. ამას არ გამოვრიცხავ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ შემდეგ ეს ხალხი მთავრობის დაკომპლექტების დროს გამოიყენოს „ქართულმა ოცნებამ“, მაგრამ მე ვარწმუნებ, რომ ეს არ გამოუვა.

– რატომ არ გამოუვა?

– იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ მაჩანჩალაა, არჩევნებამდე შეიძლება ბორბალიც კი მოძვრეს და ვინ ისურვებს იქ ასვლას?! პრივატულ საუბრებში ივანიშვილი ჩემთან ამბობდა, მე ხმების 40% მჭირდებაო. ის არ ფიქრობდა, რომ 50%-ზე მეტს მიიღებდა და სააკაშვილს დაამარცხებდა. ის ფიქრობდა, რომ 40% საკმარისი იყო ხელისუფლების ასაღებად, დანარჩენს პარლამენტში იყიდდა.

დღესაც ასე განიხილავს ოპოზიციას და ამიტომ არის ეს შემოთავაზება, მაგრამ ოპოზიცია მკაცრად არის ჩამოყალიბებული – არავითარი გარიგება და მოლაპარაკება ამ ხელისუფლებასთან.

– ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით როგორია თქვენი პოზიცია. ოპოზიცია მიიღებს მას, თუ ის პოლიტიკას დაუბრუნდა?

– მე, ვანო მერაბიშვილის ადგილზე, ტაიმაუტს ავიღებდი. ბევრი რამის გადახარშვა მოუწევს. უამრავი რამ აქვს გასააზრებელი. იყო შეცდომებიც, იყო დანაშაულებიც, იყო პლუსებიც და მინუსებიც. ასეთი მძიმე რეალობის შემდეგ ასე უცებ პოლიტიკაში შემოსვლა, არ მგონია, დიდი წარმატების მომტანი იყოს არც იმ ხალხისთვის, ვისთანაც მივა და არც მისთვის პირადად.

თუმცა, ციხეში საკმაოდ ღირსეულად მოიქცა, ვიცით, როგორ ტყდებიან ადამიანები ციხეში და როგორ მოიყოლებენ ხოლმე თანამებრძოლებს, მეგობრებს.

მე არ ვიტყვი წაქცეულ კაცზე აუგს. მე უფრო მახსოვს მისი წარმატებული რეფორმა, საპატრულო პოლიციის შექმნა, ვიდრე გავიხსენებდი 7 ნოემბერს, 26 მაისს, რომლის მონაწილეც ვარ.

– აპატიეთ?

– არაფერი არ მიპატიებია! მეტიც, 2012 წელს მე ვანო მერაბიშვილი დავამარცხე.

არაფერი არ მიპატიებია, დამარცხებულ კაცზე არ მიყვარს წიხლის მიყოლება, ეს არის და ეს.

გურამ ჩალაგაშვილი: „როგორც მკვდარს ბალზამი ვერ უშველის, ისე „ოცნებას“ – ლობისტური კომპანიები“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ჩაიდინოს ადამიანმა. ახლა ველოდებით კიდევ ახალ დაპატიმრებებს.

– შესაძლოა, ნიკა მელიაც დაპატიმრონ?

– ალბათ ეს ნონსენსი იქნება, ორი თვის წინ გაამართლეს ეს კაცი, თქვეს, რომ მართალია და ახლა უცებ აპელაციამ პატიმრობაში გაუშვას, ეს იქნება კოშმარი და ყველანაირი სიბინძურე, თუკი რამე მინახავს.

თუნდაც ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით რასაც კადრულობენ, ეს ყოველგვარ საზღვრებს ცდება. გუშინდელი პროცესი გადაიდო, ოქრუაშვილის ადვოკატი თავს შეუძლოდ გრძნობს და მოსამართლე დაახლოებით 15 წუთი თავზაღუნული გამწარებული ეძებდა კოდექსში მუხლს და ცდილობდა ყველანაირად, რომ როგორმე დაენიშნა სახაზინო ადვოკატი ოქრუაშვილისთვის. მათ დავალება აქვთ მიღებული, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაასრულონ ყველა საქმის განხილვა, განსაკუთრებით, ოქრუაშვილის და სანამ არჩევნები დაინიშნება, მას განაჩენი გამოუტანონ და საბოლოოდ პატიმრობა მიუსაჯონ.

ეს ცირკი ძალიან მალე უნდა დასრულდეს და დასრულდება არჩევნების გზით.

– „ქართული ოცნების“ ლიდერები ყოველდღე ახალ-ახალ ლობისტებს ქირაობენ და ამაში დიდძალ ფულს ხარჯავენ. უშველით ლობისტური კომპანიები?

– მიცვალებულს რომ ბალზამი შველოდეს, დღეს ყველა ცოცხალი იქნებოდა. არ მგონია, პრაქტიკულად გარდაცვლილ პოლიტიკურ ძალას, „ქართულ ოცნებას“, რომელიმე ლობისტურმა კომპანიამ უშველოს. ან როგორ უნდა უშველონ მათ?! რა უნდა დაწერონ? რას აკეთებენ მოსაწონს? ან ისეთს, რაც დასავლეთისთვის მისაღებია?! რაზე უნდა გააკეთონ აქცენტი?!

იჭერენ პოლიტიკურ ოპონენტებს გამოგონილი ბრალდებებით, არბევენ მშვიდობიან მომიტინგეებს, იჭერენ ასობით ადამიანს. მათ მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ცხადყოფს იმას, რომ საქართველო მიემართება რუსეთისაკენ.

ის, რაც ხდება რუსეთში, ერთი ერთში ხდება ჩვენთან. დარწმუნებული ვარ, ყველა დავალებას იქიდან იღებს ივანიშვილი.

ჩვენ არ ვიქნებით რუსეთის გუბერნია და საქართველო გააგრძელებს დასავლური ცივილიზაციისკენ სვლას.

იაგო ხვიჩია: „შეხვედრა თალაკვაძემ შემომთავაზა, მათ პოლიტპატიმრების გამოშვება მოვთხოვე“

ოპოზიციურ ფორმატში ვრჩებით... „ოცნება“ სხვებსაც შეხვდა, მაგრამ მე რატომ დავასახელო?! ვიჭორაო?!

იაგო ნაცვლიშვილი

„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი იაგო ხვიჩია ქართული ოცნების წარმომადგენლებს შეხვდა. საუბარი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით 18 თებერვალს შედგა. როგორც „გირჩში“ აცხადებენ, მათი პარტია ერთადერთი ოპოზიციური პარტია არ არის, რომელსაც მმართველი გუნდი შეხვდა. კონკრეტულად რაზე ისაუბრეს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, რა მოსაზრებები გაუზიარა მმართველ გუნდს და ხომ არ შევიდა ჩიხში საერთო ოპოზიციური შეკრება? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იაგო ხვიჩია საუბრობს:

– „ქართულ ოცნებასთან“ გქონდათ შეხვედრა. რაზე ესაუბრეთ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს და რატომ გადაწყვიტეთ, რომ საერთოდ უნდა შეხვედროდით და დალაპარაკებოდით მათ?

– ზოგადად მე ლაპარაკის მომხრე ვარ და ვფიქრობ, რომ ქვეყნის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ადამიანები ერთმანეთში არ ლაპარაკობენ. მხედველობაში მყავს პოლიტიკოსები და როცა ქვეყანაში არის დაძაბულობა, ისინი ერთმანეთთან არ ლაპარაკობენ, შედეგად პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში უფრო და უფრო იძაბება. ლაპარაკი არის ამ ვითარების განმუხტვის საშუალება. მე ზოგადად ასეთი მორალით ვცხოვრობ.

რაც შეეხება იმას, რატომ გადავწყვიტე შეხვედრა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ბატონი არჩილ თალაკვაძე დამიკავშირდა და მთხოვა შეხვედრა, მან მითხრა, რომ ჩემთან შეხვედრა უნდოდა ქვეყანაში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით. როგორც გითხარით მე არ ვარ ლაპარაკის წინააღმდეგი, შესაბამისად შევხვდი და დავილაპარაკეთ. მე მას ვუთხარი ჩემი აზრი იმის შესახებ, თუ რა განმუხტავდა სიტუაციას ქვეყანაში. სულ ეს იყო.

– ანუ მხოლოდ აზრთა გაცვლა იყო მოლაპარაკების თემა?

– აბა მე ვინ ვიყავი?! მე ხომ ვერ შემითანხმდებოდა რამეზე?! მე ხომ ვერ ვილაპარაკებ ოპოზიციის სახელით?! შესაბამისად მე ვილაპარაკე, რა სიტუაციაა ჩემი თვალით ქვეყანაში და ჩემთვის საინტერესო იყო, ისინი როგორ უყურებენ სიტუაციას და უნდოდათ თუ არა ვითარების განმუხტვა. მე გამოვთქვი ჩემი აზრი და ვუთხარი რჩევები, რაც მე სწორად მიმაჩნია იმისთვის, რომ სიტუაცია განიმუხტოს.

– რა ურჩიეთ მმართველ პარტიას და რა პოზიცია ჰქონდა მას ამასთან დაკავშირებით?

– ვურჩიე, რომ ლაპარაკს არ აქვს ალტერნატივა, ეს ერთი, მაგრამ იმისთვის, რომ ლაპარაკს საუბარი დავარქვათ, ეს უნდა იყოს სერიოზული და მხარეს მართლა უნდოდეს მოლაპარაკება. ამას სჭირდება დადასტურება, რომ ორივე მხარე ასე იქცევა. მე რომ მინდა ლაპარაკი და სხვა რამე რომ არ მინდა, ეს ისედაც ცხადია და ყველა შეხვედრაზე დავდივარ. მაგრამ, მათგან საჭირო იყო მინიმუმ ის, რომ არ დაეჭირათ პოლიტიკოსები და გამოეშვათ პოლიტპატიმრები და მეორე, მათ დაედოთ ისეთი ვარიანტი, რომელიც იქნებოდა მეტწილად პროპორციული.

ანუ პოლიტიკოსებთან და ზოგადად საზოგადოებასთან იქნებოდა ახსნილი, რომ დადებული პირობა, რომელიც იყო დადებული პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით მეტწილად იქნებოდა შესრულებული და მე საჯაროდ მექნებოდა იმის თქმის საშუალება, რომ ლაპარაკი შესაძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ ის სისტემა, რომელიც შემოგვთავაზეს, მართალია ის არ არის, რა დაპირებაც იყო, მაგრამ მეტწილად პროპორციულია, ვიდრე მაჟორიტარული. აქედან გამომდინარე შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ პირობა რაღაცნაირად შესრულდა. შესაძლოა რთულად, ასე თუ ისე, მაგრამ შესრულდა. რადგან სისტემა, რასაც შეგვპირდნენ, თავისი შინაარსით ჰგავს პროპორციულს.

– რა პასუხი აქვს ამაზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს?

– არაფერი. მათ მოისმინეს ჩემი მოსაზრება. იქ არ იყო პასუხის გაცემისა და შეთანხმებების დრო. უბრალოდ, ჩვენ გასაგებად გავაგებინეთ ერთმანეთს აზრი. ეს შემიძლია გითხრათ.

– ეს გასაგებია, მაგრამ აქ ჩნდება კითხვა, რამდენად გჯერათ, რომ ისინი, თუნდაც რომ დაგპირდნენ, ამას შეასრულებენ? თანაც იმ ფონზე, როდესაც არაერთხელ ჩააგდეს დაპირებები. მათ შორის ოპოზიციასთანაც.

– მე მგონი, საკითხი ასე არ დგას. მე კონკრეტულად ვუთხარი ჩემი აზრი, რომ სერიოზულობა საჭიროა, თუ გვინდა, რომ საუბარი იყოს წარმატებული. არაფერი შინაარსი არ არის იმაში, რომ თურმე მე შეიძლება მომატყუოს ვიღაცამ. ეს ასეა ზოგადად. ეს მე მჯერა თუ არა, ეს ერთი საკითხია, მაგრამ მეორე საკითხია, რა უნდა იმ ხალხს, ვისაც ის ელაპარაკება. თუ მათ მართლა უნდათ სიტუაციის განმუხტვა, მე რატომ უნდა დავამადლო მათ რჩევა თუ როგორ შეიძლება მოხდეს ეს. მით უმეტეს, ეს მაშინ, როდესაც მეც იგივე მინდა. მე ხომ არასდროს არ მითქვამს, რომ რაც მე ვუთხარი, დარწმუნებული ვარ, რომ ის რჩევა გაზიარებული იქნება?! ეს რომ ვთქვა, აბსურდი იქნება, მაგრამ თუ ვინმეს შენი აზრი აინტერესებს, მაგის ახსნა რა პრობლემაა, ეს საერთოდ არ მესმის.

– თქვენი პარტიის ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ პრობლემა ის კი არ არის, რომ ჩვენ შევხვდით, არამედ ვინც ჩუმად ხვდებიან და არ ამბობენო. ასეთი ინფორმაცია გაქვთ, რომ ოპოზიციიდან ვინმე ჩუმად ხვდება „ოცნებას“?

– ჩუმად ცოტა ისეთი თემაა. მე ვამბობ, რომ მარტო მე არ შემხვედრიან. სხვა ადამიანებსაც შეხვდნენ და გვაქვს ასეთი ინფორმაციაც. ჩვენ გამოვედით და ვთქვით, რომ შევხვდით. შეხვედრაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, ვერც ლაპარაკში ვხედავ პრობლემას და ვერც სიმართლის თქმაში. როდესაც სხვებს ხვდებიან და ისინი არ ამბობენ და მე ვამბობ, ეს აბსურდი მგონია.

– საჭიროების შემთხვევაში არ დაასახელებთ, კიდევ ვის შეხვდა „ოცნება“?

– ჩემი საქმე რატომ არის სხვისი დასახელება?! მე გამოვედი ჩემ ამბავთან დაკავშირებით და ვთქვი, რაც იყო. სხვაზე ვიჭორაო?! რატომ არის ეს ჩემი საქმე?! თუ საჭიროდ ჩათვლიან, ისინი თავად იტყვიან, რა რჩევა გასცეს, ან რა ვიცი, სულ სხვა საქმეზე შეხვდნენ. ეს მე არ ვიცი. მე ვიცი, რომ მარტო მე არ შემხვედრიან.

– საერთო ოპოზიციური ფორმატი ხომ არ შევიდა გარკვეულ ჩიხში და „გირჩი“ რჩება ამ ფორმატის მონაწილედ?

– ჩემი შეხვედრა „ოცნებასთან“ არაფერ კავშირში არ არის ოპოზიციურ ფორმატთან. არც ჩიხში შეყვანის და არც გამოყვანის ნაწილთან კავშირში არ არის. საერთო ოპოზიციურ ფორმატში პროპორციულ სისტემასთან და საერთო მაჟორიტარების დასახელების საკითხში, რა თქმა უნდა, ვრჩებით. არც დაგვიშვია, რომ ამ ფორმატს დავტოვებთ.

– ამ კითხვას იმიტომ ვსვამ, რომ თქვენი პარტიის წევრმა ვახტანგ მეგრელიშვილმა თქვა, რომ 3 დღე ვიყავით ბორჯომში და ოპოზიციამ რეალურად თვითონაც არ იცის, რა უნდაო. ეს ხომ არ მიანიშნებს ჩიხს?

– ეს განცხადება მეც გავაკეთე. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა გავძლიერდეთ. ის, რომ აწმყოში ჩვენ არ ვართ ძლიერები, არ ნიშნავს იმას, რომ მომავალშიც არ ვიქნებით, თუ წესიერად მოვიქცევით. ჩვენი ქმედება მიმართულია არა ოპოზიციის დასუსტებისკენ, არამედ გაძლიერებისკენ. ჩვენ არ გვინდა ოპოზიცია, რომელშიც ჩვენც ვართ, ისეთი იყოს, რომელსაც შანსი არ ექნება იმის გამო, რომ ვერ ძლიერდება. ჩვენ გვინდა, რომ გავაძლიეროთ და ეს დრო გამოვიყენოთ ოპოზიციის გასაძლიერებლად.

– რატომ ვერ ძლიერდება? რა არის ამის დამაბრკოლებელი?

– ძირითადი არის შეუთანხმებლობა იმაზე, თუ რა იქნება ბიძინა ივანიშვილის შემდეგ. თუ ჩვენ არ ვიცით, რანაირი ქვეყანა გვინდა მას შემდეგ, რაც ივანიშვილი აღარ იქნება, ადამიანები დაგვიწყებენ ყურებას ეჭვის თვალით. იმიტომ, რომ იტყვიან, ჯერ თქვენ გაერკვიეთ და მერე მოდით ჩვენთანო. ვფიქრობ, რომ ეს აუცილებლად გადასაწყვეტი ამბავია. ჩვენ უნდა დავანახოთ კონტურები იმ ადამიანებს, რომელსაც მიიღებენ ივანიშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ.

– ანუ, რა იქნება შემდეგ, ამაზე ოპოზიციაში მკაფიო ხედვა არ არსებობს?

– თქვენც ხომ იცით, რომ არ არსებობს?!

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზეა დამოკიდებული

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე საქართველოს ხელისუფლება როგორ პოზიციონირებდა?

– მიუნხენის კონფერენცია იმართება 1962 წლიდან მოყოლებული. კლასიკური ცივი ომის დროს, ჯერ კონფერენცია იმართებოდა დასავლეთის საექსპერტო საზოგადოების – ექსპერტების, პოლიტიკოსების, სპეციალისტების მონაწილეობით. გამოკვეთილი იყო საერთო ტიპის საფრთხეები. განსაზღვრული იყო ევროპული და საერთაშორისო უსაფრთხოების ძირითადი ტენდენციები; ხდებოდა საბჭოთა და სოციალისტური ბლოკის წინააღმდეგ გარკვეული სტრატეგიების ან პოლიტიკური მიმართულების შემუშავება.

1990 წლის შემდეგ, როდესაც სიტუაცია შეიცვალა და სოციალისტური ბლოკი დაიშალა, მიუნხენის კონფერენცია გადაიქცა საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე უმძლავრეს პოლიტიკურ-ანალიტიკურ ეპიცენტრად, სადაც ხდება იმის განსაზღვრა, თუ რა ტიპის პროცესებს აქვს ადგილი, როგორ არის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია მსოფლიო დონეზე. როგორია მსოფლიო წესრიგის პირობები.

მაგალითად, 2018 წლის მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტებმა წარმოადგინეს საინტერესო მოხსენება. ჯერ ექსპერტები ადგენენ საერთაშორისო მიმართულებებს, დღის წესრიგს, შემდეგ მიუნხენის კონფერენცია ამ დღის წესრიგის მიხედვით განიხილავს წარმოდგენილ თემებს.

ახლა კონფერენცია მიეძღვნა თემას, თუ რას წარმოადგენს დღევანდელი მსოფლიო დღის წესრიგი. მიწოდებული იყო საერთაშორისო ანალიტიკური მოხსენება, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში საერთაშორისო ურთიერთობების მოქმედმა, საკმაოდ გავლენიანმა სპეციალისტებმა და პოლიტიკოსებმა შეადგინეს.

– რა იყო ამ მოხსენებაში მნიშვნელოვანი?

– მაგალითად, მოხსენებაში ეწერა, რომ დღევანდელი მსოფლიო წესრიგი არის არა უნიპოლარული, არა ერთპოლუსიანი, არამედ ტრიპოლარული, ანუ სამპოლუსიანი. ჩამოთვლილი იყო ქვეყნები ამერიკა, ჩინეთი და რუსეთი. ეს ქვეყნები იყო გამოკვეთილი და წარმოდგენილი ყველაზე მძლავრ გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრებად.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ საერთაშორისო წესრიგის პირობებში, სადაც არის სამი გავლენის ცენტრი, რუსეთი, ჩინეთი და ამერიკა. ასე ყალიბდება საერთაშორისო წესრიგის დღევანდელი პირობები. თუ ადრე ეს იყო უნიპოლარული, ანუ მხოლოდ აშშ-ის გლობალურ ჰეგემონობაზე იყო საუბარი, დღეს ეს პროცესი შეიცვალა და სხვა მოცემულობაა. აქედან ჩანს, მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციას რა მნიშვნელობა გააჩნია.

სხვათა შორის, მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე 2007 წელს რუსეთის პრემიერმა პუტინმა პირველად გაილაშქრა დასავლეთის წინააღმდეგ და, ფაქტობრივად, გამოაცხადა რუსეთის მხრიდან დასავლეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის თეზა, რომლის ლოგიკური შედეგი აღმოჩნდა 2008 წლის რუსეთის პირდაპირი აგრესია და ინტერვენცია საქართველოს წინააღმდეგ, რასაც უკრაინის წინააღმდეგ მოქმედებები მოჰყვა. დღეს პროცესები ვითარდება ახალი ცივი ომის ფორმატში.

– ახლანდელ კონფერენციაზე ამერიკის სახელმწიფო მდივანმა პომპეომაც დაადანაშაულა რუსეთი საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ აგრესიაში.

– მიუნხენის ახლანდელი საერთაშორისო კონფერენციის დღის წესრიგი შეეხებოდა რუსეთის მხრიდან საერთაშორისო საზოგადოების წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიულ, აბსოლუტურად ძალიან საშიშ ქმედებებს. ეს იყო მთავარი თემა. საუბარი იყო ახალ გამოწვევებზეც – ბიოუსაფრთხოების კუთხით კორონავირუსის პრობლემაზე, ტერორიზმსა და რუსეთის ფედერაციაზე, როგორც საერთაშორისო საზოგადოებისთვის მთავარ საფრთხის შემცველზე.

აქედან გამომდინარე, მაიკ პომპეოს გამოსვლაში სწორედ ეს სულისკვეთება წარმოჩნდა. პომპეომ სწორად აღნიშნა, რუსეთის მხრიდან საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შედეგად, მოწყვლადი გახდა საერთაშორისო უსაფრთხოების მთელი სისტემა. ყველა ამ თემების განხილვაზე იყო კონცენტრირებული.

– საქართველოს ხელისუფლების მონაწილეობა ამ პროცესში როგორი იყო?

– საქართველო ამ საკითხში იყო ჩართული. რა თქმა უნდა, საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრის მეთაურობით ამ კონფერენციაში მონაწილეობდა.

– არის თუ არა დღეს შექმნილი საქართველოს ნატოში გაწევრიანების პირობები?

– აქ ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მომენტია – გამოიკვეთა თურქეთის მისწრაფება. თურქეთსა და რუსეთს შორის სიტუაცია დაიძაბა სირიასა და ლიბიასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, თურქეთის ხელისუფლებამ ასეთი ჟესტი რუსეთს აჩვენა უკრაინასთან დაკავშირებითაც, როდესაც რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭების ფონზე, პრეზიდენტი ერდოღანი ჩაფრინდა კიევში, უკრაინასთან 36 მილიონი დოლარის დახმარების შეთანხმება გააფორმა და დააფიქსირა, რომ ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია.

შესაბამისად, ერდოღანმა უკრაინულ მხარესთან შემდგომი სტრატეგიული თანამშრომლობის მიმართულებები დასახა. ბოლოს განაცხადა, რომ საქართველო ნატოს წევრი უნდა გახდეს და თუ საკითხი დადგება, ის მხარს დაუჭერს. ეს არის ერდოღანის ერთგვარი რეაქცია, თურქეთ-რუსეთის გაუარესებული ურთიერთობების ფონზე. ადრე არც ერდოღანს და არც ჩავუშოღლუს კრინტი არ დაუძრავთ საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე. ასეთი განცხადებებით გაიზარდა თურქეთის აგრესია რუსეთის მიმართ.

– მაკრონმა განაცხადა, რომ იმ სანქციებს, რომელსაც რუსეთს ვუწესებთ, არანაირი შედეგი არ აქვს. შეიძლება ზოგ შემთხვევაში ჩვენც ვზარალდებით, ოღონდ, სანქციების გაუქმებას კი არ ვითხოვ, ეს უნდა გავაანალიზოთო, ანუ ამ კონფერენციაზე, ფაქტობრივად, რუსეთზე შეტევა განხორციელდა. საინტერესოა მათი რეაქცია.

– დიახ, ლავროვმა დასავლეთი დაადანაშაულა. თქვა, რომ სანქციებმა თავისი დრო მოჭამა და დასავლეთის ინტერესებს აზიანებს. ასევე, საკითხი დაისვა ჩრდილოეთ ნაკადი-2-თან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობაზე. თქვა, რომ ამერიკა ერევა სხვა ქვეყნის შინაურ საქმეებში. ეს იყო ლავროვის პასაჟი.

– დასავლეთის ეს განწყობა და დამოკიდებულება რუსეთისადმი რა შედეგის მომტანია მაშინ, როდესაც გარდა იმისა, რომ საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ აგრესიული ქმედებებს ახორციელებს, რუსეთი სირიასა და ლიბიაშიც იბრძვის? რა იქნება ამ კონფერენციის შედეგი?

– ამ კონფერენციის შედეგი ისაა, რომ რუსეთი კიდევ ერთხელ მოხდა კრიტიკის ქარცეცხლში. ეგ არის და ეგ. რუსეთი თავისთვის ვითარდება, დასავლეთი ევროკავშირი და ამერიკა თავისთვის. უბრალოდ, მხარეებმა თავისი პოზიცია დააფიქსირეს და კიდევ ერთხელ გამოკვეთეს, რომ ახალი ცივი ომი შემდგარი ფაქტია.

– ჩვენთვის რა შედეგი იქნება?

– საქართველოს შემდგომი წარმატება – ნატოში გაწევრიანება და ევროინტეგრაცია დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით არსებულ ვითარებაზე. როგორც ევროპული, ასევე ამერიკული ისტებლიშმენტი ამას საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, საქართველოში არსებულ სტაბილიზაციას და იმ პოლარიზაციის დასრულებას უკავშირებს, რომელიც დღეს ქართულ საზოგადოებაში არსებობს. სამწუხარო რეალობა ეს არის.

დასავლეთის სახელმწიფოები ისედაც მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მეტის მიღწევა ამ ეტაპზე შეუძლებელია. ისინი აკვირდებიან საქართველოში დემოკრატიული განვითარების დონეს. რამდენად დაჩქარდება ჩვენი ევროინტეგრაცია, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ გაუძლებს ქვეყანა იმ გამოწვევას, რომელსაც 2020 წლის ოქტომბრის არჩევნები და მისი შედეგები ჰქვია.

– ბოლო დროს ჩვენმა მეგობრებმა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი გააქტიურეს. შიდა დაპირისპირების ფონზე ევროკავშირში გაწევრიანების თვალსაზრისით, წინსვლა რამდენად მოსალოდნელია?

– საერთოდ, ევროპული ინტეგრაციის შემდგომი წინსვლა, ევროკავშირის გაფართოება, საფრანგეთის ვეტოს მოხსნის შემდეგ, გეოპოლიტიკური მომენტია. როგორც ჩანს, ევროკავშირის გაფართოებაზე მის წევრ ქვეყნებს შორის კონსენსუსი მიღწეულია. მაკრონი, ფაქტობრივად, დაეთანხმა ევროკავშირის გაფართოებას, როდესაც ვეტო მოხსნა ჩრდილოეთ მაკედონიისა და ალბანეთის ევროკავშირში გაწევრიანებაზე. ეს საკითხი, ალბათ, მალე დაიძვრება.

შემდგომ ეტაპზე დაიგეგმება საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანება. ევროკავშირის ქვეყნებმა დაადასტურეს გაფართოების გეოპოლიტიკური ნება. თუმცა, მნიშვნელობა აქვს იმას, შიდა პოლიტიკური პროცესები როგორ განვითარდება უკრაინაში, საქართველოსა და მოლდოვაში.

უსაფრთხოების საბჭოს მდივნის პოსტზე ვახტანგ გომელაური დაინიშნა

უსაფრთხოების საბჭოს მდივნის პოსტზე შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური დაინიშნა.

ამის შესახებ გუშინ, 19 თებერვალს, მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა.

– უშიშროების საბჭო არის უაღრესად მნიშვნელოვანი ორგანო, რომელიც ეფექტურად უნდა მუშაობდეს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ უშიშროების საბჭოს ახალ მდივანს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ვახტანგ გომელაურს. ვულოცავ ამ მნიშვნელოვან თანამდებობაზე დანიშვნას, რა თქმა უნდა, შეთავსებით. ეს ნიშნავს, რომ მისი ფუნქციონალი, ისევე, როგორც ძალისხმევა, იქნება გაზრდილი და ეფექტური, – განაცხადა გახარიამ.

უსაფრთხოების საბჭოს მდივნის თანამდებობას ლევან იზორია იკავებდა, რომელმაც პოსტი რამდენიმე კვირის წინ დატოვა. ის გერმანიაში საქართველოს ელჩად ინიშნება.

ცხინვალის რეჟიმი „არამოქალაქეების“ რეგიონიდან გამოდევნის პროცედურას ხვეწს

რატომ შეიქმნა სურსათის დეფიციტი ოკუპირებულ რეგიონში?

მარიამ მჭედლიშვილი

ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ქართველების მდგომარეობა სულ უფრო გაუსაძლისი ხდება. იქ არსებულ ვითარებას საერთაშორისო ორგანიზაციები ხშირად უწოდებენ ჰუმანიტარულ კატასტროფას.

საქართველოს მოქალაქეობის მქონე ახალგორელებს ჩაკეტილი საკონტროლო-გამშვები პუნქტის გამო აქვთ პენსიის, სოციალური შემწეობის მიღების, ექიმთან მისვლის პრობლემა. ამას ემატება ქართული ენის განდევნის სისტემატური მცდელობა.

საოკუპაციო რეგიონის მოქალაქეობის არმქონე პირები იქიდან გამოდევნას ექვემდებარებიან. ცხინვალის რეჟიმი გამოგდების პროცედურას ხვეწს.

ცხინვალის პარლამენტის ფაქტობრივი საგარეო კომიტეტისა და საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების კომიტეტმა იმსჯელა კანონპროექტზე, რომელიც გულისხმობს ცვლილებებს არსებულ კანონში უცხოეთის მოქალაქეების მდგომარეობის შესახებ.

კანონი ავალდებულებს სასამართლოს აღმსრულებლებს ადმინისტრაციული წესით გამოაძევონ რესპუბლიკიდან „სამხრეთ ოსეთის“ მოქალაქეობის არმქონე პირები. ეს რომ გაადვილდეს, პროექტით, გამოსაყრელ ადამიანებს სპეციალურ დაწესებულებებში განათავსებენ. დაწესებულებების უფლებამოსილებები დროებით დაეკისრება შსს-ს იზოლატორს.

თუ აქამდე უპენსიობა, უფულობა და სურსათის დეფიციტი უფლებააყრილ ახალგორელებს აწუხებდა, ბოლო დროს პროდუქციის ნაკლებობა მთელ რეგიონს დაეტყო.

ამის მიზეზი ოკუპანტ რუსეთთან გაფორმებულ დოკუმენტებში დევს. ამ დოკუმენტების თანახმად, ოკუპირებული რეგიონის საბაჟო ორგანოები ინტეგრირდებიან რუსეთის ფედერაციის საბაჟო სამსახურებთან. ეს ხდება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ნორმების შესაბამისად.

რუსეთთან საბაჟო ინტეგრაცია ოსებს ძვირად უჯდებათ. ახალი წესების თანახმად, ტვირთების შემოტანისას სავალდებულოა დაწვრილებითი დეკლარაციის შევსება, საქონლის მწარმოებლის სერტიფიკატის წარმოდგენა და სხვა. ეს ყველაფერი იმდენ დროს მოითხოვს, რომ „ქვემო ზარამაგის“ გამშვებ პუნქტთან დაბანაკებული ადგილობრივი ბიზნესმენები დროდადრო აქციებით იმუქრებიან. ამასობაში მათ ზოგიერთი სახის პროდუქცია უფუჭდებათ, რეგიონში კი დეფიციტია. განსაკუთრებით, რძისა და საბავშვო კვების პროდუქტებზე.

წამლების დეფიციტის გამო ატეხილმა აჟიოტაჟმა ცხინვალის რეჟიმის ძალოვნები ქართულ წარწერებზე დაგეშა. მათ აფთიაქებში აღმოაჩინეს მთელი რიგი პრეპარატები ქართული წარწერებით, სტრეპტოციდითა და კორსიზით დაწყებული, „კოლხური“ და „ვოლტარენის“ მალამოებით დამთავრებული. პროდუქცია ამოღებულია.

ქართულენოვანი წარწერების მქონე მედიკამენტების ჩამორთმევა.

ამ გარემოებას გამოეხმაურა მინისტრი შერიგების საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი. მისი თქმით, ცხინვალელი ძალოვნების ეს მოქმედება მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ანტიქართული მანევრები სხვა მიმართულებითაც გრძელდება.

წელს ცხინვალი და ვლადიკავკაზი აღნიშნავენ გენოციდის 100 წლისთავს. ოსური ვერსიით, 1920 წელს საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ მოაწყო ოსების გენოციდი.

ოსებისა და აფხაზების გენოციდში სიტყვიერად თბილისს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინიც ადანაშაულებს. მან ამის შესახებ ზაფხულში „გავრილოვის ამბების“ შემდეგ გამოაცხადა.

ცხინვალში ესმით, რომ გენოციდში საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნებას მტკიცებულებები სჭირდება.

ამ ეტაპზე ოსების გენოციდის აღიარება რუსეთის სახელმწიფო დუმამაც ვერ გაბედა, სადაც შექმნილია შესაბამისი კომისია.

ვლადიკავკაზელი მეცნიერი და პოლიტოლოგი ვალერი ძიძაევი, რომელიც გენოციდის ფაქტზე მოწმეთა ჩვენებებს აგროვებს, აცხადებს, რომ წარმატებისათვის აუცილებელია მთელი ოსური საზოგადოების მონდომება.

– გვაქვს კი სომხების მსგავსი თვითშეგნება? გაიღებენ კი ოსი ოლიგარქები თავისი ქონების ნაწილს საკუთარი ოსი ხალხისთვის? – სვამს კითხვას ოსების გენოციდის აღიარების მოსურნე.

ადვოკატი: „პროკურატურის მოწმეს მელიასთან პრეტენზია არ აქვს და დაზიანებებს ხელისუფლებას აბრალებს“

20 ივნისის საქმეზე ბრალდებული ნიკა მელიას ადვოკატის გიორგი კონდახიშვილის განცხადებით, გუშინ, 19 თებერვალს, დაკითხულმა პროკურატურის მოწმემ თქვა, რომ მას მელიასთან პრეტენზია არ აქვს და იმაში, რომ მან 20 ივნისს დაზიანებები მიიღო, დამნაშავე სახელმწიფოა.

როგორც ადვოკატმა პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ასეთი მოწმეების არსებობა ადასტურებს, რომ საქმე შეკერილია.

– პროკურატურამ მოიყვანა იდეაში ნიკა მელიას მიერ დაზარალებული ქალბატონი, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა, რომ იგი დაზარალებულია საქართველოს მთავრობისა და იმ პირების მიერ, ვინც უპასუხისმგებლოდ ჩამოიყვანა გავრილოვი და მთელ ერს მიაყენა შეურაცხყოფა.

არაერთხელ ეცადა პროკურორი, რომ რამენაირად გამოესწორებინა დაზარალებულის ეს პასუხი, თუმცა მოწმემ ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა, რომ, მართალია, მას ძალიან მძიმე დაზიანებები მიადგა, თუმცა ამაში ადანაშაულებს მთავრობას და იმ უპასუხისმგებლო თანამდებობის პირების, ვინც გავრილოვი ჩამოიყვანა. ნიკა მელიასთან მას არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, – განაცხადა კონდახიშვილმა.

ადვოკატის თქმით, ბრალდების მხარეს მოწმეთა სიაში ჰყავს ადამიანები, ვისაც დაზარალებულის სტატუსი აქვს მინიჭებული და ცდილობენ ასეთი დაზარალებულებით სასამართლო შეიყვანონ შეცდომაში, რომ ნიკა მელიას ბრალეული ქმედების გამო, ეს ადამიანები დაზიანდნენ და დასახიჩრდნენ, რეალურად კი ამაში მთავარი პასუხისმგებელი სახელმწიფოა.

– მოქალაქე მოვიდა და პირდაპირ დააფიქსირა, რომ მე ნიკა მელიასთან არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია, ჩემი ჯანმრთელობის დაზიანება არავითარ შემთხვევაში მელიას ბრალდებასთან კავშირში არ არის და ამაში დამნაშავეა სახელმწიფო. ასეთი მოწმეები ნიშნავს, რომ ეს საქმე არის შეკერილი და სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

გარდა სამართალდამცავი სტრუქტურის მუშაკებისა, ვინც მოიყვანეს, ყველამ ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ ნიკა მელიასთან მიმართებით არავითარი პრეტენზია არ გააჩნიათ. დაზარალებულმა პირდაპირ უპასუხა, რომ დაპირისპირება და შედეგებიც გამოიწვია იმ სამარცხვინო ფაქტმა, რომ ქართველ ერს მიაყენეს შეურაცხყოფა – გავრილოვი ჩამოიყვანეს და დაასვეს თავზე და არა ნიკა მელიას პოლიტიკურმა განცხადებამ აქციაზე, – აღნიშნა ადვოკატმა.

საქმის პროკურორი დავით ნეფარიძე კი აცხადებს, რომ სამართლებრივად დაზარალებული არის პირი, ვისაც დანაშაულის შედეგად მიადგა ზიანი. მისი თქმით, დანაშაული ამ შემთხვევაში იყო ის მასობრივი არეულობა, რომლის დროსაც ეს ადამიანი აღმოჩნდა აგრესიულად განწყობილი მომიტინგეების ფეხქვეშ და მიიღო ფიზიკური დაზიანებები, ანუ რომ არა მელიას მოწოდება და აგრესიულად განწყობილი მოქალაქეების დაძვრა პარლამენტის შენობაში შესვლისა და პოლიციის კორდონის გარღვევის მიზნით, ეს ქალი არ დაზიანდებოდა.

– ამ ქალბატონმა განაცხადა, რომ ის მოგვიანებით აქციაზე მივიდა, რა დროსაც მოისმინა ნიკანორ მელიას განცხადება, რომ შევდივარ პარლამენტში. ამის შემდეგ დაიწყო დროის ათვლა და ეს ათვლა როგორც კი დასრულდა, მან ვერც მოასწრო იმ ადგილიდან გამოსვლა. ისე დაიძრნენ აქციის აგრესიულად განწყობილი მოქალაქეები პოლიციელებისკენ კორდონის გარღვევის მიზნით და სწორედ ამ ჭყლეტვის დროს მან მიიღო დაზიანება.

ქალბატონმა განაცხადა, რომ რომ არა გავრილოვის ჩამოსვლა, მე იქ არ ვიქნებოდი, შესაბამისად, არ მოვყვებოდი ამაში. თუმცა სამართლებრივად დაზარალებული არის პირი, ვისაც დანაშაულის შედეგად მიადგა ზიანი. დანაშაული ამ შემთხვევაში იყო ის მასობრივი არეულობა, რომლის დროსაც ეს ადამიანი აღმოჩნდა აგრესიულად განწყობილი მომიტინგეების ფეხქვეშ და მიიღო ფიზიკური დაზიანებები – ხელზე, თავზე და ა.შ.

ანუ, რომ არა ნიკანორ მელიას მოწოდება და აგრესიულად განწყობილი მოქალაქეების დაძვრა პარლამენტის შენობაში შესვლისა და პოლიციის კორდონის გარღვევის მიზნით, ეს ქალი არ დაზიანდებოდა.

– ეს ქალბატონი ამ აქციის კორდონის გარღვევის მიზნით, ეს ქალბატონი არ დაშავდებოდა, – განაცხადა პროკურორმა.

მისივე თქმით, მოწმეები ამბობენ, რომ სწორედ მელიას მოწოდებას მოჰყვა არეულობის დაწყება და როდესაც დაიწყო, მელია აქციის მონაწილეებს აგრესიის გაძლიერებისა და პოლიციის კორდონის გარღვევისკენ მოუწოდებდა.

გუშინ ბრალდების მხარის 3 მოწმე – 2 პოლიციელი და 20 ივნისის აქციაზე დაშავებული ქალი დაიკითხა.

პროცესს ბრალდებული ნიკა მელია არ ესწრებოდა.

საქმეზე მორიგი სასამართლო სხდომა 4 მარტს გაიმართება.

მერაბ კობიაშვილი საავადმყოფოდან საპატიმროში გადაიყვანეს

გუდაურში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული მერაბ კობიაშვილი გუშინ, 19 თებერვალს, საავადმყოფოდან საპატიმროში გადაიყვანეს.

სამედიცინო დაწესებულებასთან ერთად შეკრებილები იყვნენ კობიაშვილის ნათესავები. ისინი აცხადებენ, რომ კობიაშვილს არავის მოკვლა არ სურდა და იგი მხოლოდ თავს იცავდა.

– კადრებში ხომ ჩანს, რომ ვინ არის დამნაშავე, კადრებში ხომ ჩანს, რომ მას თავს რამდენი ესხმის. ხომ ჩანს ეს. მე რომ ვიცოდე, ჩემი შვილი დამნაშავეა, მე თვითონ მოვკლავდი და თავსაც მოვიკლავდი, – თქვა მერაბ კობიაშვილის დედამ.

– აქვს დაზიანებები თვალზე, ხელზე აქვს ჭრილობა. ვვარაუდობთ, რომ თავისივე იარაღის წართმევის მცდელობისას მოხდა ეს. მოვითხოვ იმ ადამიანების დაკითხვას, ვინც თავდასხმაში მონაწილეობდა. მარტო ჩემი მეუღლე არ უნდა იყოს დაკავებული, – განაცხადა კობიაშვილის მეუღლემ.

„გიგა აბრალავა უმძიმეს მდგომარეობაშია, ის სალომე ბოხუას მკვლელობას აღიარებს“

სამტრედიაში ცოლის, სალომე ბოხუას, მკვლელობისთვის გიგა აბრალავა დააკავეს.

გიგა აბრალავა და 26 წლის სალომე ბოხუა უკვე ერთი წელია ერთად აღარ ცხოვრობენ. 18 თებერვალს სამტრედიის სამოქალაქო რეესტრში განქორწინება ოფიციალურად უნდა გაეფორმებინათ, როდესაც გიგა აბრალავამ მოულოდნელად მეუღლეს ყელის არეში დანით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

გიგა აბრალავას და სალომე ბოხუას ორი მცირეწლოვანი შვილი – 8 და 6 წლის გოგონები ჰყავთ.

შსს-ს ინფორმაციით, დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამტრედიის ფილიალის მოქალაქეთა მომსახურების დარბაზში, განქორწინების პროცედურის დაწყებამდე, ცოლს – 1994 წელს დაბადებულ ს.ბ.-ს ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი ქალი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა გ.ა. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამტრედიის ფილიალის მოქალაქეთა მომსახურების დარბაზშივე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – აცხადებენ შსს-ში.

გიგა აბრალავას ბრალი უკვე წარედგინა.

ის ბრალს აღიარებს. ამის შესახებ ადვოკატმა პავლე კაკაბაძემ განაცხადა.

– ჩემ დაცვის ქვეშ მყოფ პირს შევხვდი, უმძიმესი ფსიქოლოგიური მდგომარეობა აქვს, ძალიან წუხს მომხდარის გამო. რა თქმა უნდა, ეს არ ამსუბუქებს მის მდგომარეობას, თუმცა მართლმსაჯულებისათვის გარკვეულწილად, გასათვალისწინებელი იქნება. რაც შეეხება დანაშაულებრივ ქმედებას, ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის 11 პრიმა 109-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის. აღიარებს რეალურად და გულწრფელად ინანიებს ბრალად შერაცხულ დანაშაულს და არ ამართლებს დანაშაულს, – განაცხადა პავლე კაკაბაძემ.

26 წლის სალომე ხუბუას ბებია აცხადებს, რომ ქალი ხშირად იყო მეუღლის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი, თუმცა ამას ბოლო პერიოდამდე მალავდა.

ხუბუას ბებიის თქმით, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე გიგა აბრალავამ მცირეწლოვან შვილს დაურეკა და უთხრა, რომ მას დედა აღარ ეყოლებოდა.

– ერთი თვის წინ დაგვირეკა, მიშველეთო! ორ საათში ბათუმში გავჩნდით და წამოვიყვანეთ. თურმე ადრე რიონზე ჩაუყვანია, დანა გაუშლია და ამით მოგკლავო. 5 დღის წინ ბავშვს დაურეკა, როგორც კი შენი ნახვის უფლება მომეცემა, დედა არ გეყოლება, მამიკოო.

სულ სვამდა, რაც ცეხში სამუშაოდ გადავიდა, ლოთობდა, მოჰყავდა ძმაკაცები და მათზე ეჭვიანობდა, შეჰყავდა ოთახში და სცემდა სალომეს, – აცხადებს მოკლულის ბებია.

საქართველოს შს მინისტრის მოადგილე ევროსაბჭოს ანტიდისკრიმინაციული დირექტორატის ხელმძღვანელს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, სტრასბურში ევროსაბჭოს ანტიდისკრიმინაციული დირექტორატის ხელმძღვანელ ჯეროენ შოკენბროკს შეხვდა.

შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ანტიდისკრიმინაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და ამავე დეპარტამენტის ბავშვთა უფლებების განყოფილების წარმომადგენლებისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღწეული პროგრესისა და გამოძიების გაუმჯობესებული ხარისხის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე, სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვა.

შეხვედრაზე ნინო ცაციაშვილმა დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების მიმართულებით არსებულ პროგრესსა და გაუმჯობესებულ სტატისტიკაზე ისაუბრა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ღონისძიების მონაწილეებს წარუდგინა ახალი გეგმები სამინისტროში არასრულწლოვანთა სპეციალიზებული დანაყოფის შექმნის შესახებ, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელი იქნება არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიან გამოძიებაზე.

შეხვედრის ფარგლებში, ევროპის საბჭოს წარმომადგენლებმა არსებული პროგრესი დადებითად შეაფასეს და ახალი დანაყოფის დაარსების მხარდაჭერასთან დაკავშირებით ინტერესი გამოთქვეს.

საქართველოს მხრიდან შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ნათია მეზვრიშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გენდერისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ზუგდიდში ლევან ჭეჟიას დაკავებას ხმაური მოჰყვა

გუშინ, 19 თებერვალს, ხმაური იყო ზუგდიდში – უკმაყოფილება გამოიწვია მოქალაქე ლევან ჭეჟიას დაკავების ფაქტმა, რომელსაც გამოძიება ლომბარდის ძარცვის მცდელობას ედავება.

ფაქტის ამსახველი კადრები ჭეჟიას ცოლმა გაავრცელა, სადაც ჩანს, რომ ახალგაზრდა მამაკაცს ხელი აქვს დაზიანებული.

დაკავებულის ახლობლები ამბობენ, რომ პოლიცია მათ საკუთრებაში სპეციალური ორდერის გარეშე შევიდა.

ნინო გოჩალეიშვილი ამტკიცებს, რომ მის მეუღლესა და კიდევ ერთ დაკავებულს მხოლოდ მობილურის შეძენა სურდათ, ლომბარდის მეპატრონემ კი მათ ფასი არ დაუკლო, რასაც კამათი მოჰყვა. საბოლოო ჯამში კი დაწესებულების მესაკუთრემ პოლიციას მიმართა.

საპირისპიროს ამბობს ლომბარდის მფლობელი ხათუნა კვარაცხელია. მისი თქმით, ხუთმა პირმა ტელეფონის წართმევა სცადა, მათ კი ამაში ხელი მისმა შვილმა შეუშალა.

ზუგდიდში ძარცვის მცდელობის ბრალდებით რამდენიმე ადამიანი 18 თებერვალს დაკავეს.

მომხდარზე გამოძიება სს კოდექსის 19-178-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ძარცვას გულისხმობს.

ქუთაისის აეროპორტში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს

13-17 თებერვალს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ქუთაისის აეროპორტი“, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტების ქვეყნის საზღვარზე უკანონოდ შემოტანის ფაქტები აღიკვეთა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

უწყების ცნობით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნისა და საქართველოს მოქალაქეების კუთვნილი ბარგის, ხელბარგისა და ფიზიკური დათვალიერების შედეგად, ფსიქოტროპული (2 კაფსულა) და ნარკოტიკული (126 აბი) ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს.

საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულს გადაეცა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის წყალტუბოს რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე და 261-ე მუხლების 1-ელი ნაწილებით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების შემოტანის ფაქტებზე“ – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ირანში კორონავირუსის შემთხვევები ოფიციალურად დადასტურდა

ირანის სახელმწიფო მედიის ცნობით, ქვეყნის ჯანდაცვის ოფიციალურმა პირებმა კორონავირუსის 2 შემთხვევა დაადასტურეს.

მედია არ ავრცელებს ინფორმაციას, რომელი ქვეყნის მოქალაქეებს დაუდგინდათ ვირუსი.

– გამოგზავნილი ნიმუშების თავდაპირველი ანალიზი განხორციელდა. 2 შემთხვევაში ანალიზმა დადებითი შედეგი აჩვენა, – აცხადებენ ჯანდაცვის სამინისტროში.

რამდენიმე დღის წინ, საერთაშორისო მედია წერდა, რომ ქვეყანაში ერთი პირი, სავარაუდოდ, კორონავირუსით დაიღუპა, თუმცა ინფორმაციას არ ადასტურებდა ჯანდაცვის სამინისტრო.

გუშინ, 19 თებერვალს, ოფიციალურმა პირებმა ვირუსის 2 შემთხვევის შესახებ ოფიციალურად განაცხადეს.

კოზაკი უკვე ოფიციალურად დაინიშნა

რუსეთს პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებას ვლადისლავ სურკოვის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. ის კოზაკმა შეცვალა.

აქამდე კოზაკი მოლდოვის მიმართულებას კურირებდა. მან პუტინის დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. მოლდოვის ხელისუფლებამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და დნესტრისპირეთისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას დათანხმდა.

სურკოვმა კი უკრაინაში სრული მარცხი განიცადა. დონბასში საომარი მოქმედებები გრძელდება, უკრაინის ხელისუფლებამ კი არც ნატოში და არც ევროკავშირში ინტეგრაციაზე უარი არ განაცხადა.

– მოლდოვის სცენარი (ნეიტრალური სტატუსი, ფედერალიზაცია) უკრაინაზეც უნდა გავრცელდეს. ასეთია პუტინის დავალება, – ამბობს ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

ერდოღანი: „თურქეთი იდლიბს ასადის ხელში არ დატოვებს“

გუშინ, 19 თებერვალს, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ ანკარა სირიის იდლიბის რეგიონში სამხედრო ოპერაციას განახორციელებს და მისი დაწყება „დროის ამბავია“.

– როგორც ყველა ოპერაციის დროს, ჩვენ ვამბობთ, რომ ერთ ღამითაც მოულოდნელად მოვალთ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მხოლოდ დროის ამბავია. თურქეთი იდლიბს ასადის და მისი მხარდამჭერების ამარა არ დატოვებს, – განაცხადა ერდოღანმა სამართლიანობისა და განვითარების პარტიასთან საუბრისას.

– თურქეთმა ყველანაირი მოსამზადებელი სამუშაოები გაიარა, რომ საკუთარი ოპერაციები განახორციელოს იდლიბში. ჩვენ უკუთვლა უკვე დავიწყეთ. მხოლოდ რამდენიმე დღეა დარჩენილი, რომ რეჟიმმა შეწყვიტოს აგრესია და უკან დაიხიოს, როგორც ეს სოჭის ხელშეკრულებებითაა გათვალისწინებული. ეს ჩვენი უკანასკნელი გაფრთხილებაა, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

მან რუსეთთან გამართულ მოლაპარაკებებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მხარეები შეთანხმებისგან შორს არიან.

გუშინვე მოსკოვი თურქეთის პრეზიდენტის განცხადებებს გამოეხმაურა. პრეზიდენტის პრესმდივნის, დიმიტრი პესკოვის თქმით, ანკარის მიერ სამხედრო ოპერაციის განხორციელება „ყველაზე უარესი მოვლენების განვითარება იქნება“.

– თუ საუბარია ოპერაციაზე, რომელიც სირიის რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების, სირიის არაბული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ იქნება მიმართული, ეს მოვლენების ყველაზე უარესი განვითარება იქნება, –აღნიშნა პესკოვმა.

შეგახსენებთ, რომ სირიის ასადის რეჟიმი რუსეთის დახმარებით ქვეყნის ჩრდილოეთით ინტენსიურ შეტევებს ახორციელებს. მედიის ინფორმაციით, ასადის ჯარებმა უკვე დაამყარეს იდლიბზე კონტროლი, ხოლო ამჟამად ბრძოლები ალეპოსა და იდლიბის მიმდებარე ტერიტორიებზე გრძელდება.

ანკარამ მოსკოვს არაერთხელ მოუწოდა, შეეჩერებინა მოკავშირე ასადის რეჟიმი, თუმცა აღნიშნულს ქმედითი ნაბიჯები არ მოჰყოლია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დედოფალმა პრინცს ჰარის და მეგან მარკლს ტიტულებით სარგებლობა აუკრძალა

დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ სასექსის ჰერცოგ პრინც ჰარის და ჰერცოგინია მეგან მარკლს სავაჭრო მარკის შუსსეხ ღოყალ-ს გამოყენება საკუთარ პროექტებში შემოსავლის მისაღებად აუკრძალა.

პრინცი ჰარი და მეგან მარკლი ცდილობდნენ სავაჭრო მარკა შუსსეხ ღოყალ-სი მთელ რიგ პროექტებში დაერეგისტრირებინათ, მათ შორის ჩასაცმელების საკუთარი ხაზის, საკანცელარიო საქონლის, წიგნების და სასწავლო საგნების. გარდა ამისა, მათ სურდათ გაეხსნათ საქველმოქმედო ორგანიზაცია სახელწოდებით Sussex Royal, The Fundation of the Duke and Duchess of Sussex.

დედოფალთან საუბრის დროს პრინცი ჰარი და მეგან მარკლი იმ შეთანხმებამდე მივიდნენ, რომ მათ აუცილებლად უნდა ჩაატარონ რებრედინგი. წყვილი დათანხმდა, რომ ბრენდ Sussex Royal-ის მათ მიერ გამოყენება მას შემდეგ, რაც უარი თქვეს სამეფო ტიტულებსა და პრივილეგიებით სარგებლობაზე, საზოგადოებაში მთელ რიგ კითხვებს გააჩენდა. შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სასექსის ჰერცოგები საკუთარ პროექტებს, მათ შორის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და საქველმოქმედო ფონდს ახალი სახელით დაარეგისტრირებენ.

ექვსი წლის გოგონა უცნობი მტაცებლისგან დაიხსნეს

ამერიკის კალიფორნიის შტატის ნაკრძალ რანჩო სან ანტონიოში ადგილობრივმა მცხოვრებმა ექვსი წლის გოგონა ამოუცნობი ცხოველისგან დაიხსნა, რომელიც მასზე იყო ჩაფრენილი.

ინციდენტი 16 თებერვლის დილას მოხდა. ადამიანების ჯგუფი, მათ შორის დაშავებული გოგონა, მისი მშობლები და სხვა მოზრდილი ადამიანები ნაკრძალში სეირნობდნენ, როდესაც ბავშვს მტაცებელი ცხოველი თავს დაესხა. სავარაუდო წინასწარი ვერსიით, ეს პუმა იყო. ერთ-ერთმა ექსკურსანტმა მაშინვე მიირბინა და ცხოველს ფერდებში ჩასცხო, დანარჩენებმა კი ყვირილი მორთეს და აგრესიული ცხოველი აიძულეს გაქცეულიყო.

პარკის თანამშრომელმა გოგონას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა. გოგონას სერიოზული დაზიანებები არ მიუღია.

ამ შემთხვევის შემდეგ ნაკრძალი დროებით დაიხურა დამთვალიერებლებისთვის. კალიფორნიის ბუნების დაცვის ორგანიზაციის თანამშრომლები სახიფათო მტაცებელს ეძებენ.

გოგონას პირველი პაემანი მამაკაცთან ბანკის გაძარცვით დასრულდა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის მკვიდრი გოგონა შემთხვევით ბანკის გაძარცვის თანამონაწილე გახდა. ასე დასრულდა მისი პირველი პაემანი ინტერნეტით გაცნობილ მამაკაცთან.

შელბი სამპსონმა როდ-აილენდის შტატის მკვიდრი კასტილიო ინტერნეტში გაცნობის გვერდის დახმარებით გაიცნო. წყვილი ერთმანეთს პირველად 2016 წლის 5 დეკემბერს შეხვდა. იმავე დღეს კასტილიომ დანაშაულის ჩადენა გადაწყვიტა. სასამართლოში მიცემული ჩვენების თანახმად, სამპსონმა მას მანქანით შეუარა, რის შემდეგაც ისინი მასაჩუსეტსში გაემგზავრნენ. გზაში კასტილიო ღვინოს წრუპავდა.

მამაკაცმა გოგონას ბანკის მახლობლად გაჩერება სთხოვა და მანქანიდან გადავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ის ერთიანად გაოფლიანებული დაბრუნდა. თავზე ჩამოფხატული ჰქონდა შავი ფერის ქუდი, თუმცა მანქანიდან გადასვლის დროს ის არ ხურებია. ასევე აღმოჩნდა, რომ მას თან ჰქონდა იარაღი, ფული და მზის სათვალეები. ის სასწრაფოდ შეხტა მანქანაში და დაიყვირა: „დაქოქე ჩქარა, ეშმაკმა დალახვროს“. სამპსონმა მანქანა დაძრა, მაგრამ მალევე შენიშნა პოლიციის მანქანა და გაჩერდა. კასტილიო მაშინვე დააპატიმრეს.

პოლიციის ანგარიშის თანახმად, დამნაშავე ბანკში შევიდა, პისტოლეტი ამოიღო და ათასი დოლარი მოითხოვა. მან მოლარეს უთხრა, რომ ძალიან დაზარალდა და ფული სჭირდება. შემდეგ კი სამპსონის მანქანით დანაშაულის ადგილიდან მიმალვას შეეცადა.

სასამართლომ 33 წლის კასტილიოს სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა შეიარაღებული ძარცვის და კიდევ ორი წლით პოლიციელებზე თავდასხმისთვის. სამპსონს თანამზრახველობის ბრალდება წაუყენეს, თუმცა გამოძიების შედეგად ის უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

მექსიკის სანაპიროზე უცნობი ზღვის არსება გამოირიყა

მექსიკის ნაირატის შტატში, ნახევარკუნძულ პუნტა მიტას სანაპიროზე წვეტიანკბილებიანი უცნობი ზღვის არსება გამოირიყა, რომელსაც დელფინის ცხვირი და წაგრძელებული სხეული აქვს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

უცნობი არსება ადგილობრივი მცხოვრებლების კომპანიამ სანაპიროზე სეირნობის დროს აღმოაჩინა. თვითმხილველებმა ის მკვდარ დელფინად მიიღეს, სანამ არსება ახლოდან არ დაათვალიერეს. ვინაიდან ზღვის წყლის სიღრმეების ბინადარს თვალები არ ჰქონდა, ადგილობრივებმა ჩათვალეს, რომ ის ოკეანის სიღრმიდან გამოირიყა. მოგვიანებით რამდენიმე მეთევზე შეეცადა მის ამოცნობას, თუმცა წარუმატებლად.

მეთევზეებმა მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ მექსიკის ხასიკოს შტატის ქალაქ Puerto-valiart-ას მახლობლად ოკეანის სიღრმეში არის ღრმული, რომლის სიღრმე რამდენიმე კილომეტრს აღწევს. მათი ვერსიით, სწორედ ეს ადგილი შესაძლოა იყოს ამოუცნობი არსების სამკვიდრო ადგილი. ადგილობრივი მას მედია ადასტურებს, რომ ამ დროისთვის ჯერ ვერავინ შეძლო გამორიყული არსების ამოცნობა.

ზვიგენი მდიდრულ იახტას თავს დაესხა

ახალი ზელანდიის სანაპირო წყლებში ზვიგენი-მაკო თავს დაესხა და კბილებით ჩააფრინდა რამდენიმე მილიონ დოლარად ღირებულ იახტას. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 35 წლის ზღვის ბიოლოგი, რომელიც ზვიგენების შესწავლითაა დაკავებული, რილი ელიოტი სადოქტორო დისერტაციისთვის კვლევას ატარებდა. კადრებში ჩანს, თუ როგორ დაესხა მოზრდილი ზვიგენი თავს მის იახტას.

– რას ჩადიხარ, მეგობარო? – წამოიძახა ბიოლოგმა. შემდეგ ზღვის მტაცებელმა იახტას პირი უშვა, წყალქვეშ ჩაყვინთა და მის გარშემო წრეების დარტყმა დაიწყო. ბოლოს კი ელიოტმაც წყალში ჩაყვინთა და ზვიგენთან ერთად გაცურა.

ბიოლოგმა აღნიშნა, რომ ის ზვიგენის იახტაზე თავდასხმას არ შეუშინებია, ვინაიდან მისი

ნაომი კემპბელმა სელფიში მკერდი გამოაჩინა

ბრიტანელმა ტოპ-მოდელმა და მსახიობმა კემპბელმა გამოაქვეყნა სელფი, რომელშიც შიშველი მკერდი უჩანს და ამით თაყვანისმცემლები აღაფრთოვანა. ფოტოსურათი ინსტაგრამში მოდელის გვერდზე გამოჩნდა.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სელფიზე 49 წლის მოდელი საწოლზე საცვლების გარეშე მწოლიარეა აღბეჭდილი. შიშველი მკერდი მან გაშლილი გრძელი თმებით და ვარსკვლავის გამოსახულების სმაილით დაიფარა.

მოდელის ფოტომ სოციალურ ქსელში უკვე 243 ათასზე მეტი მოწონება და სამი ათასამდე კომენტარი მიიღო. ქსელის მომხმარებლებმა დაუფარავად გამოხატეს საკუთარი აღფრთოვანება.

– ამ კადრით ინტერნეტს ააფეთქებ, – დაწერა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– დედოფალი ხარ, – აღნიშნა მეორემ.

– მასწავლე, როგორ გამოვიყურებოდე ასე შესანიშნავად, – იკითხა მესამემ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. ☎ **599-73-48-21; 598-73-48-21.**

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

ატლეტიკომ და ჰოლანდმა მეტოქეები დაამარცხეს

ატლეტიკო-ლივერპული 1:0

მადრიდი. ვანდა მეტროპოლიტანო

1:0 საული (4)

ატლეტიკო: ობლაკი, ვლასკო, სავიჩი, ფელიპე, რენან ლოდი, კოკე, საული, თომასი, ლემარი (იორეტე 46), კორეა (კოსტა 70), მორატა (ვიტოლო 70)

ლივერპული: ალისონი, ალექსანდრ-არნოლდი, გომესი, ვან დაიკი, რობერტსონი, ჰენდერსონი (მილნერი 80), ფაბინიო, ვაინალდუმი, სალაჰი (ოქსლეიდ-ჩემბერლენი 76), მანე (ორიგი 46), ფირმინო

ამიტომ მოგვწონს ჩემპიონთა ლიგა, რომ ყველა მატჩი არაპროგნოზირებადია. ასე მოხდა მადრიდში, სადაც დიეგო სიმეონეს გაწვრთნილი ატლეტიკო ტიტულის მფლობელ ლივერპულს დაუხვდა.

იურგენ კლოპის ფენომენალური გუნდის შეჩერების ერთ-ერთი კანდიდატი ატლეტიკოა. და ეს ესპანელებმა საშინაო მატჩში დაამტკიცეს. სიმეონეს შეგირდებმა დასაწყისშივე გაიტანეს – ფირმინიოს შეცდომის შემდეგ ბურთი საულ ნიგესს მიუვიდა და მანაც ახლოდან გაიტანა.

აქედან მოყოლებული ატლეტიკომ მთელი გუნდით უკან დაიხია და ლივერპულს შეტევების განვითარება უჭირდა, რადგან მადრიდელები მკაცრ პრესინგს თამაშობდნენ. არც ერთი დარტყმა იან ობლაკის კარში – ინგლისურმა გუნდმა ამ ფაქტით ნამდვილად გაგვაკვირვა, რადგან ასეთი ლივერპული არ გვახსოვს. ცხადია, ცუდი კუთხით. თითქოს კლასის ხარჯზე ცდილობდნენ მოგებას, მაგრამ სიმეონეს გაწვრთნილ გუნდთან ასე თამაში არ შეიძლება. კლოპი იძულებული გახდა ჯერ სადიო მანე, შემდეგ კი მომო სალაჰიც შეეცვალა. მერსისაიდელები ლიდერებთან ერთად ვერაფერს გახდნენ და მათ გარეშე კიდევ უფრო გაუჭირდათ – კლოპს არაფრის შეცვლა არ შეეძლო.

ატლეტიკომ შეწყვიტა ლივერპულელთა წაუგებელი სერია და ინგლისში მინიმალური უპირატესობით ჩადის.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – საულ ნიგესი

გამარჯვების გოლი და დიდი მოცულობის სამუშაო მოედნის ცენტრში – ეს იყო საულის საქმე, რომელიც ჰენდერსონსა და ვეინალდუმს არეებს უზღუდავდა.

დორტმუნდი-პსჟ 2:1

დორტმუნდი. სიგნალ იდუნა პარკი

1:0 ჰოლანი (69), 1:1 ნეიმარი (75), 2:1 ჰოლანი (77)

დორტმუნდი: ბიურკი, პიშჩეკი, ჰუმელსი, ზაგადუ, ჰაკიმი, ჯანი, ვიტსელი, გერეირო, სანჩო (შმელცერი 90), ტ.აზარი (რეინა 67), ჰოლანი

პსჟ: ნავასი, მუნიე, კიმპემბე, ტიაგო სილვა, კურზავა, ვერატი, მარკინიოსი, გიე, დი მარია (სარაბია 77), მბაპე, ნეიმარი

19 წლის ნორვეგიელი ერიკ ჰოლანი აგრძელებს იმ ზღაპარს, რასაც აქამდე აკეთებდა. როგორც ჩანს, მისთვის გრანდებში ადაპტაციაც არ წარმოადგენს პრობლემას. პსჟ-ს მსგავსმა გუნდმაც კი ვერ შეძლო მისი შეშინება და დაოკება. დორტმუნდს მეტი მომენტი ჰქონდა და ეს ჰოლანისა და ჯეიდონ სანჩოს დამსახურებაა. არადა, გერმანელები თითქოს მშვიდად თამაშობდნენ, მაგრამ უცებ აფეთქდებოდნენ და მომენტს მომენტზე ქმნიდნენ. შანსი პარიზელებსაც ჰქონდათ, მაგრამ არა იმდენი, რომ მატჩის ბედი და მიმდინარეობა შეეცვალათ.

პირველი გაშვებულის გოლის შემდეგ უფრო გააქტიურდნენ პარიზელები, მალევე გაქვითეს, მაგრამ თამაში ძველ კალაპოტს დაუბრუნდა და ჰოლანმა საჯარიმოს გარედან ჩაჭედა.

საპასუხო მატჩი კიდევ უფრო ღია და საინტერესო უნდა გამოდგეს...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ერიკ ჰოლანი

ბევრი ელოდა, როდის დაეწყებოდა ჰოლანს კრიზისი, მაგრამ პარიზელებთან მატჩშიც გამოჩნდა, რომ ნორვეგიელი ფეხბურთელი ყველაზე მწვავედ უტევდა

ბავშვის სწრაფმა რეაქციამ ოჯახი ხანძარში დაღუპვას გადაარჩინა

ხუთი წლის ბავშვმა შუაღამისას შენიშნა, რომ სახლს ცეცხლი წაეკიდა და თავისი ოჯახის წევრები ხანძარში დაღუპვისგან იხსნა.

ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ კინგსტონის სახანძრო განყოფილებამ კვირა ღამით შეტყობინება მიიღო ერთ-ერთ სახლში ხანძრის გაჩენის თაობაზე. როდესაც მაშველები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, ნახეს, რომ სახლის ყველა მცხოვრები უკვე ქუჩაში იყო გამოსული და არავინ იყო დაშავებული.

მოგვიანებით სახანძრო განყოფილებაში განაცხადეს, რომ ხუთი წლის ნოი ვუდსი დამწვრის სუნმა გამოაღვიძა და პირველმა შენიშნა ხანძარი. პატარა ბიჭმა უსწრაფესი რეაქცია გამოავლინა: მან ფანჯრიდან ქუჩაში გადაიყვანა თავისი ორი წლის და და შემდეგ სახლში დაბრუნდა მშობლების გასაღვიძებლად. მისი წყალობით ოჯახის ყველა წევრმა დროულად მოასწრო აღმოდებული სახლიდან გამოსვლა. ისინი საავადმყოფოში უმნიშვნელო დამწვრობებით და ბოლით მსუბუქი მოწამვლის ნიშნებით გადაიყვანეს. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ამჟამად ადგილობრივები დაზარალებული ოჯახისთვის ჩასაცმელსა და პირველადი საჭიროების ნივთებს აგროვებენ. სახანძრო განყოფილებაში კი ხუთი წლის ვუდსის დაჯილდოება გადაწყვიტეს.

ზღვის სანაპიროზე 18 მეტრიანი მკვდარი ვეშაპი აღმოაჩინეს

ინგლისის სამხრეთ-დასავლეთში კორნუოლის ზღვის სანაპიროზე აღმოაჩინეს ვეშაპი, რომლის სიგრძე 18 მეტრს აღემატება. ის ნაპირზე გამორიყვიდან მალევე დაიღუპა.

ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვეშაპმა კუდი ქვებზე დაიზიანა. მის სხეულზე მრავალი დაზიანებები იქნა დაფიქსირებული. ექსპერტებმა ზღვის ცხოველის დაღუპვა პარასკევს, 14 თებერვალს, ადგილობრივი დროით 14:45 საათზე დააფიქსირეს.

ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაციის, რომელიც ზღვის არსებების დაცვითაა დაკავებული, წარმომადგენლის დენა ჯარვისის თქმით, სიცოცხლის ბოლო წუთებში ვეშაპი საშინელ ხმებს გამოსცემდა, რომელიც ჭექა-ქუხილს წააგავდა.

– ცხოველის სხეულზე უამრავი იარა შეინიშნება. აშკარაა, რომ ის აქ გარკვეული დროის მანძილზე იწვა და ქვებს ეხეთქებოდა. თავიდანვე საქმე ცუდად იყო, – აღნიშნა ექსპერტმა.

ვეშაპის დაღუპვის ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. პოლიციამ ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდა, თავი შეიკავონ სანაპიროზე გასვლისგან, რათა ამ რაიონში გზებზე მოძრაობას პრობლემები არ შეექმნას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქვეყანა უნდა ძლიერდებოდეს

დალოცვილებო, თქვენც ხომ ამ ბედკრული საქართველოს შვილები ხართ. განა, მტერი აკლია ჩვენს ქვეყანას? გაიხედეთ გარშემო, სულ მტრებით არის გავსებული. რა გინდათ, რას ჭამთ ერთმანეთს, ისედაც ცოტანი ვართ, დემოგრაფიული კატასტროფა გვემუქრება – 15 წელიწადში ჩვენ უმცირესობაში აღმოვჩნდებით.

ერთხელ ჟირინოვსკი გამოვიდა „ეხო მასკვიზე“ და თქვა: „ტრი გოდა უჩილსა ვ ტბილისი. ზნაიუ იხ ხარაკტერ. ასტავტე იხ ი ანი სამი საჟრუტ დრუგდრუგა“. „საჟრუტ“ კი არა, ყლაპავენ ერთმანეთს და მტრის გულს ახარებენ. რა ვერ გაიყავით, რა გინდათ?! დაასვენეთ ეს საცოდავი ხალხი. იმის მაგივრად, რომ გვერდში დაუდგეთ ერთმანეთს, თხა და მგლებივით არიან. რა გვშველება? არაფერიც არ გვეშველება, თუ სიყვარული არ დათესეთ ერთმანეთის, სხვა გზა არ არსებობს. დაანებეთ ამ ქიშპობას თავი, დროებით დავივიწყოთ უკმაყოფილება და გადავდგათ ნაბიჯები, რაც ჩვენს ქვეყანას მოუტანს სიკეთეს. ალბათ საჭიროა, ცოტა ხნით გავხდეთ სუბიექტურები, იდეალისტები, ვაღიაროთ ის, რაც ჩვენთვის სასარგებლოა, შემდეგ გავაგრძელოთ ცხოვრება იმის მიხედვით, რასაც ჭეშმარიტება გვიკარნახებს. კანონი ყველასათვის კანონი უნდა იყოს. ასეთი უსუსური მთავრობა არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს. რასაც ბიძინა ხალხს დაჰპირდა, სუყველაფერი ჰაერში „გნაცელეს“.

იბო დოლიძე

თუშიშვილი ტატამს დიუსელდორფში დაუბრუნდება

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მსოფლიოსა (2018) და ევროპის ორგზის (2017, 2019) ჩემპიონი გურამ თუშიშვილი ტატამს დაუბრუნდა და გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში დაგეგმილი გრანდ სლემის ერთ-ერთი უმთავრესი ვარსკვლავი იქნება.

უკვე დადასტურდა, რომ 25 წლის ქართველი ძიუდოისტი მოახლოებულ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს. შედეგად, მისი გამოსახულება გრანდ სლემის პოსტერზე იქნა დატანილი, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ვებგვერდზე კი გურამთან კომენტარიც გამოქვეყნდა.

გურამ თუშიშვილი:

– დიუსელდორფის ტურნირი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, რომ 2020 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას სწორედ ამ შეჯიბრით ვიწყებ. გასული წლის ბოლოს, ტრავმის გამო რამდენიმე ტურნირი გამოვტოვე და მათ შორის მასტერსიც იყო. ახლა თავს კარგად ვგრძნობ. აღარაფერი მაწუხებს და მხოლოდ ვარჯიშზე ვარ კონცენტრირებული. ყველაფერს გავიღებ, რათა დიუსელდორფის გრანდ სლემზე წარმატებას მივაღწიო.

დიუსელდორფის გრანდ სლემი 21-23 თებერვალს გახლავთ დაგეგმილი და მასში 120 ქვეყნის წარმომადგენელი 718 ძიუდოისტი (427 კაცი+291 ქალი) ჩაებმება.

საქართველოს ნაკრებს წარმომადგენლები მხოლოდ ვაჟთა ტურნირში ეყოლება. წინასწარი განაცხადის თანახმად, შეჯიბრში მონაწილეობას შემდეგი ძიუდოისტები მიიღებენ:

60 კგ: ჯაბა პაპინაშვილი, თემურ ნოზაძე; 66 კგ: ვაჟა მარგველაშვილი, ბაგრატ ნინიაშვილი; 73 კგ: ლაშა შავდათუაშვილი, ფრიდონ გიგანი; 81 კგ: ნუგზარ ტატალაშვილი, ტატო გრიგალაშვილი; 90 კგ: ბექა ღვინიაშვილი, ლაშა ბექაური; 100 კგ: ვარლამ ლიპარტელიანი, გიორგი ჩიქოვანი; +100 კგ: გურამ თუშიშვილი, ონისე ბუღაძე;

შარშან დიუსელდორფის ტურნირზე ქართველებმა მხოლოდ 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკზე ლუხუმ ჩხვიმიანი (60 კგ.) და ლაშა

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ცხენმა მხედარს სახიფათო ავადმყოფობა აღმოუჩინა და სიკვდილს გადაარჩინა

ინგლისის ლანკაშირის საგრაფოს ქალაქ ბლექბერნის მცხოვრები ქალბატონი ამტკიცებს, რომ ცხენმა, სახელად ალინამ, სუნით სასიკვდილო დაავადება აღმოუჩინა და დაღუპვას გადაარჩინა.

43 წლის მხედარმა ქალმა კელი ენ ალექსანდერმა განაცხადა, რომ ეპილეფსიის პირველი შეტევა 2015 წლის ოქტომბერში დაემართა. მალე შეტევები გახშირდა და დღეში 15-მდე ავიდა. გარდა ამისა, ის ლითონის გემოს და სუნს შეიგრძნობდა.

– ეპილეფსიის საწინააღმდეგო წამალი კეპრა გამომიწერეს, – აღნიშნა ქალმა. თვენახევრის მკურნალობის შემდეგ მან მოახერხა მოენახულებინა თავისი ცხენი, რომელთან ერთადაც დოღში მონაწილეობდა.

– მასთან შეხვედრის დროს, მისმა უცნაურმა ქცევამ გამაკვირვა, – აღიარა ბრიტანელმა, – მან ჩემთან მოირბინა და თავის მარჯვენა მხარეზე დამიწყო ყნოსვა. სწორედ იმ ადგილზე, სადაც ახლა უკვე ვიცით, რომ სიმსივნე მქონდა.

შედეგად კელიმ გამოკვლევა ჩაიტარა საავადმყოფოში და ექიმებმა მას თავის ტვინის უიშვიათესი სიმსივნე დაუდგინეს. ქალს ოპერაცია გაუკეთეს და სიმსივნე ამოკვეთეს, მაგრამ 2017 წელს რეციდივის გამო მას განმეორებითი მკურნალობა დასჭირდა.

– ექიმები მეუბნებოდნენ, რომ მინიმუმ ერთი წელი მაინც ვერ შევძლებდი ცხენზე ისევ შეჯდომას, მაგრამ უკვე შვიდი თვის თავზე ისევ ვიჯექი უნაგირზე, – აღნიშნა კელიმ, – ალინას კი ყოველნაირად ვენდობი, ვინაიდან ყველაზე კარგად ხვდება, თუ როდის ვარ ცუდად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯროსვოხდი ბ



შვეულად: 1. უხასიათობა, ცუდი გუნებაგანწყობილება; 2. ხარისხიანობის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის, პლატინის ნაკეთობებზე; 3. სვანური ციხე-კოშკი; 4. დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმი; 7. უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 9. რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 12. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 14. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 15. ფუტკრის მსგავსი, მოყვითალო ფერის მწერი; 17. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 20. ქართველი უფოლოგი.

თარაზულად: 5. შაქრის სუროგატი; 6. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 8. ოდესის ძველი სახელწოდება; 10. მავნებლური, ძირგამმთხრელი საქმიანობა; 11. აეროპორტი ლონდონში; 13. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 16. მონასტერი რაჭაში; 18. კახეთის სამეფოს ძველი დედაქალაქი; 19. თოფზე ჩამოსაცმელი ტყავის ბუდე; 21. სასტუმროს თანამშრომელი; 22. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 23. გერმანელი მეცნიერი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინა-ფიზიოლოგიის დარგში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროდვორდი ა

შვეულად: 2. ვაუჩერი; 3. ავტობანი; 4. ინტელექტი; 5. ჭერხო; 6. ამლახუ; 8. ქვევრი; 11. ნოვაცია; 14. ობსკურანტი; 15. გაგრიფში; 16. ესკადრონი; 17. დარიკო; 19. როლექსი; 21. პეპსი; 22. სენტო.

თარაზულად: 1. ავლაბარი; 5. ჭონა; 7. წიქარა; 9. კულტივატორი; 10. ლენტეხი; 12. ჩხავერი; 13. სექტორი; 16. ეპიგრაფი; 17. დუყი; 18. არიბა; 20. შტურმანი; 22. სუფსა; 23. ჰერაკლე; 24. ოხუნჯი; 25. სანტი.

კროდვორდი ბ

შვეულად: 1. ვიბრაცია; 2. ტორტი; 3. მანსარდა; 4. საფარა; 7. კრიჟი; 9. ჯუნტა; 12. აბასთუმანი; 14. გელაპი; 15. იღუმენი; 17. ჰარლემი; 20. სკოტი.

თარაზულად: 5. სიმბიოზი; 6. არაბიკა; 8. კიტჩერი; 10. ლაჟვარდი; 11. სინხუა; 13. ანალები; 16. ტალავერი; 18. თართი; 19. ბუკია; 21. სკოპიე; 22. ანეკდოტი; 23. ჰოფმანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8422

ევრო — 3.0701

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6914

100 რუსული რუბლი — 4.4902

ამინდის პროგნოზი 20 თებერვლისთვის

18 თებერვლიდან

მიხეილ კვესელავა

ნიურნბერგის პროცესი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ხატია ბუნიათიშვილს გერმანულმა პრესამ ვუნდერკინდი უწოდა

ქართველ პიანისტს ხატია ბუნიათიშვილს ერთ-ერთმა გერმანულმა გამოცემამ ვუნდერკინდი უწოდა.

„პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი: ვუნდერკინდი, როგორც ბეთჰოვენი“ – ასეთია სტატიის სახელწოდება და მასში ქართველი პიანისტის წარმატებებსა და გერმანიაში დაგეგმილ კონცერტებზეა საუბარი.

სტატიის ავტორი ხაზს უსვამს, რომ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მსგავსად, რომელმაც თავისი პირველი კონცერტი 6 წლის ასაკში გამართა, ხატია ბუნიათიშვილიც ვუნდერკინდად იწოდებოდა. მართალია პიანისტს არ უყვარს, როდესაც მას ასე მოიხსენიებენ, თუმცა ხატიამაც, ბეთჰოვენის მსგავსად, პირველი კონცერტი თბილისის კამერულ ორკესტრთან ერთად 6 წლის ასაკში ჩაატარა, 10 წლის ასაკიდან კი კონცერტებს საზღვარგარეთ მართავდა.

– ბეთჰოვენს ყოველთვის მიიჩნევდნენ თავდაჯერებულ და ქარიზმატულ შემოქმედად, ზუსტად ეს თვისებები აქვს ხატია ბუნიათიშვილსაც.

პიანისტი ახლა პარიზში ცხოვრობს და საქართველოს და საფრანგეთის მოქალაქეა. ორჯერ გახდა ეხო კლასიკის პრიზის მფლობელი: 2012 წელს ალბომისთვის ფერენც ლისტი და 2016 წელს ალბომისთვის კალეიდოსკოპი. მისი ერთ-ერთი ბოლო ალბომი ფრანც შუბერტი გასულ წელს გამოვიდა.

ხატია ბუნიათიშვილი ხუთ ენაზე საუბრობს, ორი საბავშვო საქველმოქმედო ორგანიზაციის ელჩია და საჯაროდ ამხელს რუსეთს ადამიანების უფლებების დარღვევაში, – ვკითხულობთ გერმანული გამოცემის სტატიაში.

ნოდარ სიმსივე დაინიშნა

მსახიობი და სპორტული კომენტატორი ნოდარ სიმსივე დაინიშნა.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეცხრე სეზონის მონაწილის რჩეული სალომე მურცხვალაძეა.

წყვილის ნიშნობის ამსახველი ფოტოები ინტერნეტში ნოდარ სიმსივემ თავად გაავრცელა და ამ დღეს თავის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი უწოდა.

ნოდარის და სალომეს გაბედნიერება უამრავმა ადამიანმა მიულოცა და ულევი სიყვარული და წარმატებები უსურვა.

იუმორი

პაციენტი ექიმს:

– ექიმო, ჩემი ანალიზების პასუხები მზადაა, ცნობისმოყვარეობა მკლავს, ისე მაინტერესებს...

– ძვირფასო, არა მხოლოდ ცნობისმოყვარეობა...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა არის სიბერე?

– სიბერეა, როდესაც რეზინის გასაბერ ქალს ცხელი წყლით ავსებ და ლოგინში იწვენ გასათბობად.

●●●

მამაკაცი გოგონას ეკითხება:

– ვინ გასწავლის ამდენ სისულელეს?

– სწავლა არ მჭირდება, პატარაობიდან ნიჭიერი ვარ!

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

– ჩემთან იმისთვის მოგიწვიე სტუმრად, რომ ერთი ჭიქით ჩემი ჯანმრთელობის სადღეგრძელო დაგელია, შენ კი უკვე მეხუთე ჭიქას ყლურწავ!

– მაპატიე, მაგრამ ისე საშინლად გამოიყურები, რომ...

●●●

ტელეფონით გაცნობის სერვისში მამაკაცი რეკავს:

– ალო, გოგონა!

– დიახ, გისმენთ!

– თქვენი გაცნობა შეიძლება?

– რა თქმა უნდა, მხოლოდ საკუთარი თავი ამიწერეთ...

– საშუალო ტანის, მსუქანი, პირგაუპარსავი, შეუხედავი!

– გივი, შენ ხარ?

●●●

ქმარი ცოლს ურეკავს და ეკითხება:

– ძვირფასო, რომელი გირჩევნია, ზღვა თუ ტყე?

– რა თქმა უნდა, ზღვა, საყვარელო! რა, დასასვენებლად მივდივართ, ბარგი ჩავალაგო?

– არა, ტუალეტისთვის ჰაერის არომატიზატორს ვარჩევ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნეიმარი: „საუკეთესო ფორმაში არ ვარ“

დორტმუნდის ბორუსიასთან წაგების შემდეგ პსჟ-ს ფორვარდმა ნეიმარმა განაცხადა, რომ ის საუკეთესო ფორმაში არ არის, რადგან მან ტრავმის გამო 4 შეხვედრა გამოტოვა.

ნეიმარის აზრით, განმეორებითი მატჩისთვის ის უკეთეს ფორმაში იქნება:

– სამწუხაროა, რომ წავაგეთ, მაგრამ ჯერ არაფერი დაკარგული არ არის და წინ განმეორებითი შეხვედრაა, სადაც შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს. უნდა ვაღიარო, რომ ტრავმების გამო იდეალურ ფორმაში არ ვარ, მაგრამ განმეორებითი შეხვედრისთვის ყველაფერი შეიცვლება. მინდა პსჟ-ს გამარჯვებები მოვუტანო.

ერლინგ ჰალანდი: „მიღწეულზე გაჩერებას არ ვაპირებ“

დორტმუნდის ბორუსიის ახალგაზრდა ფორვარდმა ერლინგ ჰალანდმა პსჟ-სთან დუბლი შეასრულა და საფეხბურთო სამყარო კიდევ ერთხელ აალაპარაკა. მის ნიჭზე უკვე ყველამ კარგად იცის და თვითონ ჰალანდი მიიჩნევს, რომ მას კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია: – ძალიან მიხარია, რომ ორი გოლის გატანა შევძელი, თუმცა ეს ჩემი მაქსიმუმი არ არის და შემიძლია უფრო უკეთესად ვითამაშო. პსჟ ძლიერი გუნდია და განმეორებით შეხვედრაში ნებისმიერი რამ შეიძლება მოხდეს.

ხუან ლაპორტა: „ბარსას ხელმძღვანელები მაფიოზები არიან“

ბარსელონას ყოფილმა პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ ბარსას ახალი ხელმძღვანელობა მკაცრად გააკრიტიკა და თქვა, რომ ისინი მაფიოზურ მეთოდებს იყენებენ.

ლაპორტას თქმით, ისინი არასწორ სატრანსფერო პოლიტიკას ეწევიან და ამის გამო გუნდი ზარალდება:

– ბარსელონაში ის ხალხი მუშაობს, ვინც გუნდს დიდ წარმატებას ვერ მოუტანს. ძირითადად ხელმძღვანელობაზე მაქვს საუბარი, რადგან მათი მეთოდები საერთოდ არ მომწონს. გუნდში ბევრი რამ არის შესაცვლელი.

მოამზადა ბექა ვოგინაშვილმა

მომღერალმა კამერის წინ საცვლების ამარამ იცეკვა



მომღერალმა მელისა ვივიან ჯეფერსონმა, რომელიც ლიზოს ფსევდონიმითაა ცნობილი, ვიდეოკამერის წინ საცვლების ამარამ იცეკვა. ვიდეოჩანაწერი ინსტაგრამში მის გვერდზე იქნა გამოქვეყნებული.

ვიდეორგოლში 31 წლის მომღერალი ბორდოსფერ მაქმანებიან საცვლებში გამოწყობილია ასახული. ის მუსიკის თანხლებით ეროტიკულ ცეკვას ასრულებს.

– წვეულებისთვის ვემზადები. მიყვარხართ, – წერია ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარში.

ლიზოს თაყვანისმცემლებმა მისი ვიდეო საკუთარ კომენტარებში შეაფასეს, რომელთა უმრავლესობა დადებითი აღმოჩნდა.

„სიმპათიური“, „მაგრად გამოიყურები“, „ღვთაებრივი ხარ!“, „როგორი მაგარი თეთრეულის კომპლექტია“ – დაწერეს მომღერლის თაყვანისმცემლებმა საკუთარ კომენტარებში.

ამავე დროს ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომელთა გამოხმაურება უარყოფითი აღმოჩნდა.

– არის ისეთი რაღაცები, რომლებიც საძინებელში უნდა დარჩეს და არ უნდა გამომზეურდეს, – დაწერა ერთ-ერთმა.

– დროა ფასტფუდს შეეშვათ, ორგანიზმი გაიწმინდოთ და ჯანსაღ კვებაზე გადახვიდეთ, – ურჩია მეორემ.

– მე მიყვარს ლიზო, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია, – აღნიშნა კიდევ ერთმა თაყვანისმცემელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ირაკლი ჩოლოყაშვილი მეოთხე ბიჭის მამა გახდა

მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი მეოთხე ბიჭის მამა გახდა. დიმიტრის, თეიმურაზის და ნიკოლოზის შემდეგ, მის ოჯახს ელიზბარ ჩოლოყაშვილი შეემატა.

ინფორმაცია ბედნიერმა მამამ თავად გაავრცელა:

– აქცია 3 ჩოლოყაშვილი – დიმიტრი, თეიმურაზ, ნიკოლოზ და არც ერთი ბიძინა დასრულდა.

დაიწყო ახალი – 4 ჩოლოყაშვილი და არც ერთი ბიძინა.

2012-ში რუსული ოცნების სპეცოპერაციას საქართველოს წინააღმდეგ მარტო ვებრძოდი ჯაყოს. ახლა ხუთნი ვართ და არსადაც არ ვაპირებთ წასვლას. პირიქით – მოვდივართ და იქამდე ვივლით, ვიდრე ჯაყოს თავს არ დავაღწევთ. ამ 8 წლის სტაგნაციის, ამ რვაწლიანი ღალატის ფონზე ამ ბიჭების არსებობა მაძლევდა ძალას. ჩვენ ვაპირებთ ვიცხოვროთ ბედნიერ საქართველოში და ვისაც გსურთ, შემოგვიერთდით. არ დაიწყოთ ჭკვიანური დარიგება: „ბავშვებს პოლიტიკაში ნუ რევ“ და ა.შ.

მტერს უნდა ცნობდეს ბავშვი აკვნიდან. ვინც არ მეთანხმებით, შეგიძლიათ იყოთ ჯაყოს ხიზნები. ჩვენ კი უნდა ვიბრძოლოთ საბოლოო გამარჯვებამდე.

გაიცანით – ელიზბარ ჩოლოყაშვილი!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

20 თებერვლისთვის

ვერძი – თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სამუდამოდ დაივიწყეთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. გუმფჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **ტყუპები** – დღის დევიზია შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. აპათია გიპყრობთ, ამიტომ მაქსიმალურად დაკავდით საქმით. **ქალწული** – შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად იზრდება. ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. სასიამოვნო ახალ ამბავს შეიტყობთ. **სასწორი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **ღრიანკალი** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მშვილდოსანი** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობაა საჭირო. **თხის რქა** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიმზადებთ. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **მერწყული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. მშვიდი დღეა. **თევზები** – კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს.

გისუსურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 2. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 3. საცირკო ნომერი ჯამბაზების მონაწილეობით; 4. ბურთის მსგავსი, უმოტორო საფრენი აპარატი; 5. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 6. აზიის მთიანეთში გავრცელებული თოვლის ჯიქი; 8. დაზვერვის საიდუმლო თანამშრომელი; 11. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 14. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 15. ფრანგული სამხედრო ვერტმფრენმზიდი გემი; 16. თვალის დაავადება, სიელმე; 17. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 19. სისხლძარღვი; 21. მავნებელი მწერი; 22. გემების სადგომი ნავსადგურში.

თარაზულად: 1. მდინარე გაგრაში; 5. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 7. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 9. სამხედრო მრეწველობის გადაყვანა არასაბრძოლო პროდუქციის წარმოებაზე; 10. სარეკლამო ხასიათის ილუსტრირებული ბროშურა; 12. შაქრის შემცვლელი დიათეზით დაავადებულთათვის; 13. კაზაკთა წინამძღოლი; 16. სათამაშო სახლი, კაზინო; 17. მამალი თხა; 18. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 20. ბიბლიური პატრიარქი, სიცოცხლის ხანგრძლივობის სიმბოლო; 22. მუზეუმი მადრიდში; 23. კოლექტიური, წერილობითი მიმართვა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსადმი; 24. ზღვის დიდი ტალღა; 25. ფულის ერთეული ჩინეთში.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა